

პრეზიდენტის ყველა კვეყნისა. გენერალი

585 /
1978/2



საქართველოს სახელმწიფო ცოდნის სამინისტროს რესპუბლიკურ

შეტყოფი საკამატო კური 1978

№ 12 (455)

1978 ნოემბრის 10 დღის მიზანით

საქართველოს სამინისტროს მიერ გამოცემის გამოყენება

თავისუს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური კუსკუპლიტი



უმაღლესი საბჭოს კუსკუპლიტი

№ 12 (455)

დეკემბერი

1978 წლი

შ 0 5 ა ა რ ს 0

გაცემილება პირველი

243. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეათე შოშევების უმღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.
244. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეათე მოწევების უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემაღლების დამტკიცების შესახებ.
245. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნერე მოწევების უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის საკითხების შესახებ.
246. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნერე მოწევების უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე დეპუტატების მიერ შემოტანილი წინა-დადებებისა და შენიშვნების შესახებ.

საქართველოს სსრ მთხვერი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიმრ მიღებული
კანონიგი და დადგენილებისგი

247. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ვ. მ. სირაძის საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე არჩევის შესახება.
248. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ეკონო-
მიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
249. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ ეკონომიკური
და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმღინარეო-
ბის შესახებ.
250. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
251. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ 1977 წლის სა-
ხელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
252. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-
ჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.
253. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მი-
ნისტრთა საბჭოს შესახებ.

254. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ტყის კოდექსის დამტკიცების შესახებ.

სფეროვალოს სსრ ტყის კოდექსი

255. დაღვენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საბჭოს მთავრობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაობის შესახებ.

256. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანოს სახელწოდების შეცვლისა და გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრანგებულებების დამტკიცების დამტკიცების თაობაზე.

257. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მოქმედ საქანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრანგებულებების დამტკიცების თაობაზე.

258. დაღვენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოთა საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრანგებულებთა დამტკიცების თაობაზე.

259. დაღვენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ვ. მ. სირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

260. დაღვენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოთა დეპუტატ გ. ნ. ენტერის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

261. დაღვენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოთა დეპუტატ ა. ო. მოვესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

განყოფილება მიორი

262. პრანგებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწილებულთა გადატარებისათვის“ დაგილოდების შესახებ.

263. პრანგებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კაშშირგაბმულობის დამსახურებული მუშავის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

264. პრანგებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამს. ი. გ. კალანდარიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

265. პრანგებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამს. ი. ნ. ცერცეაძის საფლის საქართველოს სსრ დამსახურებული უზრნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

266. პრანგებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამს. გ. კ. ცეტიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

267. პრანგებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამს. ო. ხატელიშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ორტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

268. პრანგებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საზღვაო ნაოსნობის ფოთის საზღვაო ნავსადგურის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

269. პრანგებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საზღვაო ნაოსნობის ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მუშაკათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.



განყოფილება მესახე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობები.

•



განყოფილება პირველი

დადგინდება საჭართვილოს ცენტრული უმაღლესი სამსახურის პრეზიდენტის

243 სსრ კავშირის გენერალური მოწვევის უბალდები საბჭოს არჩევნების
შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების ამბავს რუსულებელ კომიტეტებს:

ა) არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული კველა ღონისძიება განახორციელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის უსაბაძისად;

ბ) არჩევნების შესახებ კანონით დაწესებულ ვადებში უზრუნველყონ საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დასახელება, საარჩევნო უბნების შექმნა, საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წევრთა დასახელება და დაწესებულა;

გ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამომტკიცელთა სიების სწორად შე-
დგენას, მიაღწიონ იმას, რომ ხმის უფლების მქონე არც ერთი მოქალაქე არ
დარჩეს არჩევნებში მონაწილეობის გარეშე;

დ) ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, სისტემატურად ჩაატარონ მოხსენებები, საუბრები, კონსულტაციები საბჭოთა საარჩევნო სისტემის ძირითად პრინციპებზე, არჩევნებისათვის მზადების საქმეში აქტიურად ჩაბარ კლუბები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და აგიტმხა-ტერული ბრიგადები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, „უკავშირს“ და „საქწიგნს“ მიიღონ ზომები არჩევნებთან დაკავშირებული ლიტერატურის, წითელი ქსოვილის, ქაღალდისა და სხვა საკანცელარიო ნივთების რაონებსა და ქალაქებში დაგზავნისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიძას ღამის გატარების სახელმწიფო კომიტეტს დროულად გამოსცეს მასობრივი ტირაჟით არჩევნებთან დაკავშირებული ლიტერატურა.

4. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მიერ წარმოდგენილი გეგმა „არჩევნების ჩატარების შესახებ“. დაევალოს განყოფილებას კონტროლი და-აწესოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჩერაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 19 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

244 საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ პავზირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევების საბრჩევნო კომისიის უმაღლესობის დამტკიცების უმაღლესობის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის“ 24-ე, 25-ე და 27-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემაღებელობით:

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ნიკოლოზის ძე კურთანიძე — თბილისის ფოლად-თუჭისამსხმელო ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან.

საარჩევნო კომისიის მდივანი

სოლიქ ევტიხის ძე ხაბეგიშვილი — საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფესირის რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

საარჩევნო კომისიის წევრები:

ნატალია ალექსანდრეს ასული აგრძა — გაგრის სანატორიუმ „თბილისის“ კოლექტივისაგან;

არტუშ ხორსიკის ძე არაქელიანი — ბოგდანოვკის რაიონის გონილიოს საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

აზიზ აფოს ძე ბაგიროვი — თბილისის № 1 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ნადეჟდა რამიზის ასული ბარამიძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ალდა მამიას ასული გუგუჩია — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მარქისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მიხეილ ივანეს ძე გოგლევი — ამიერკავკასიის წითელდღიუროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან;

ნელი ვლადიმერის ასული გურგენიძე — თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

მიხეილ დანიელის ქ დავითაშვილი — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის კოლექტივისაგან;

იუსტი გუსეინ ოლლი იუსუბოვი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაյთა პროფესიონალის მარნეულის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ივანე ვახტანგის ქ კასრელიშვილი — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის გურგანის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ტატარანა პავლეს ასული კესაევა — ცხინვალის ქარხანა „ემალსალენის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშავებისა და მოსამსახურეებისაგან;

ნიკოლოზ ალექსანდრეს ქ ლანდია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან;

ანტონინა სერგის ასული სობოლევა — რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშავებისა და მოსამსახურეებისაგან;

ეთერ ნოეს ასული ჩაჩუა — სამტრედიის რაიონის გომის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ციცინო კუკურის ასული ჭუმბურიძე — ჭუთაისის № 5 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

ვლადიმერ ნიკოლოზის ქ ჯანჯლავა — საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ცრეზიდიუმის მდივანი მ. ლაშვარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 22 დეკემბერი.

№ 1326 — IX.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გადასახილავა

245 საქართველოს სსრ გეცხერ მოწვევის უმაღლესი საგვრავი გენერალი საკითხების სამსახურის მიერ გადასახილავა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეათე სესიის დღის წესრიგში შესატანად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გადაეცეს შემდეგი საკითხები:

1) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,

მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. პ. გილაშვილი).

2) საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური

განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმღინარეობის შესახებ.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მომხსენებელი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ე. ჯაფარიძე).

3) საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მომხსენებელი — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. ფ. ანანიაშვილი).

4) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მომხსენებელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. პატარიძე).

5) საქართველოს სსრ ტყის კოდექსის პროექტის შესახებ.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განხრახულობათა, სოფლის მეურნეობის, ბუნების დაცვის, მჩერველობის მუდმივ კომისიებს, მომხსენებელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზ. გელდიაშვილი).

6) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის ანგარიში.

(საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მომხსენებელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. აზიროვი).

7) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1978 წელს გაწული მუშაობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

II. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინოს საქართველოს სსრ კანონებისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების შემდეგი პროექტები:

საქართველოს სსრ კანონთა პროექტები:

საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანოს სახელწილდების შეცვლისა და გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე;

საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი:

საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ამთ. თ. ლაშქარაშვილს მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1978 წლს გაწეული მუშაობისა და სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილ ბრძანებულებათა შესახებ.

III. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეათე სესიის მუშაობის წესის შესახებ.

IV. უხუცესთა საბჭოს სხდომა მეათე სესიის ორგანიზაციულ საკითხებზე მოწვეულ იქნეს 1978 წლის 20 დეკემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 19 დეკემბერი.

№ 1301 — IX.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

246 საქართველოს სსრ გეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს გეათე სესიაზე დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებები და შენიშვნები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებები და შენიშვნები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 22 დეკემბერი.

№ 1325 — IX.



საქართველოს სსრ მეცნიერებელი მოწვევის უმაღლესი საგარენი მიერ მიღებული კანონები და დაფინანსები

დაფინანსება საქართველოს სსრ უმაღლესი საგარენი

247 დეკემბერი 3. მ. სირაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საგარენი პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი ვიქტორია მოსეს ასული სირაკე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაზილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაზილი.

თბილისი, 1978 წლის 20 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საგარენი სოციალისტური რესპუბლიკის

248 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მ უ ხ ლ ი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმა უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

მ უ ხ ლ ი 2. დაწესდეს 1979 წლისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მატების შემდეგი ტემპი:

პროცენტული 1978
წელთან შედარებით

რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი 7,0
მრეწველობის პროდუქცია რესპუბლიკის ტერიტორიის მიხედვით 7,0

მათ შორის:

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	6,8
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ მეურნეობაში	1,3

საქართო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთ-ბრუნვა	10,7
შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში	4,5
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან	24,3
რეალური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე	5,6
ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	4,6
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელ-ბრუნვა	6,2
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაცია ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებში	9,5
მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მათ შორის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც იძლევა საერთო საშუალო განათლებას და პროფესიულ მომზადებას	3,9
მოსწავლეთა მიღება საშუალო-სპეციალური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე	4,2
სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებაზე	11,6
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	1,2
სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებაზე	1,6
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	2,3

აშენდეს 1979 წელს საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 1,189,31 ათასი კგადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მ უ ხ ლ ი 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის ღრას განახორციელოს ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი სოციალისტური შეჯიბრების გამლის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის მიღწევათა ყოველმხრივ გამოყენების, ეკონომიკის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, მთელი შიდა რეზერვების გამოყენების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს დაზუსტებანი საგეგმო და დაგალებებში.

მ უ ხ ლ ი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადაღებები და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 20 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

249 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმღინარეობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმღინარეობის შესახებ.

2. აღნიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადაღებები და შენიშვნები, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადაღებები და შენიშვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმღინარეობის საკითხზე და სკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენურის გადაწყვეტილებების შესაბამისად განახორციელოს ღონისძიებები მიმღინარე წლის და მეათე ხუთწლედის შემდგომი წლების საგეგმო დავალებათ წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი. თბილისი, 1978 წლის 20 დეკემბერი.

დ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

250 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1979 წლის სახელმწიფო გიუჯეთის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

მ უ ხ ლ ი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი

საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, დარგობრივი და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის შესწორებათა გაფასავლის შემოსავლის ნაწილში 2.002.738 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.002.738 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1980 წლის პირველი იანვრისათვის 67.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხ ხ ლ ი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1.777.759 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხ ხ ლ ი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნიკაციების მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 787.907 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხ ხ ლ ი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებისათვის — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბავშვის, სანატურისტურებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 1.115.539 ათასი მანეთის ოდენობით. აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 247.108 ათასი მანეთი.

მუხ ხ ლ ი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის არგანოების, სასამართლოს არგანოების შესანახად 31.394 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხ ხ ლ ი 6. დატკიცდეს საქართველოს სსრ 1979 წლის რესპუბლიკურა ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1.856.235 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში — 1.358.537 ათასი მანეთი. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქების რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 497.698 ათასი მანეთი. გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1980 წლის პირველი იანვრისათვის 38.408 ათასი მანეთი.

მუხ ხ ლ ი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქების

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1979 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

(ათას მანეთობით)

1	2	3	4	5
შემოსა- ვალი	შოთარის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადე- ბიდან და შე- მოსავლებიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1980 წლის 1 იანვრისათვის	
1. აფხაზეთის აეტონომიური საბჭო- თა სოციალისტური რესპუბლიკა .	73.290,6	58.937,4	78,290,6	3.602
2. აჭარის აეტონომიური საბჭოთა სო- ციალისტური რესპუბლიკა . .	47.907,0	38.285,4	47.907,0	2.355
3. სამხრეთ იმერეთის აეტონომიური ოლქი	21.468,9	19.127,6	21.468,9	1.052
4. ქალაქი თბილისი	158.442,3	102.828,0	158.442,3	4.699
5. ქალაქი ქუთაისი	26.189,3	16.674,1	26.189,3	1.261
6. ქალაქი ფოთი	5.621,1	3.555,1	5.621,1	270
;7. ქალაქი ჭიათურა	8.733,1	7.325,0	8.733,1	433
8. ქალაქი რუსთავი	16.546,4	11.944,4	16.546,4	799
9. ქალაქი გორი	6.549,7	4.072,4	6.549,7	312
10. ქალაქი ტყიბული	5.254,5	4.605,1	5.254,5	259
11. ქალაქი ზუგდიდი	6.590,1	5.063,1	6.590,1	326
12. ქალაქი წყალტუბო	6.127,7	3.278,4	6.127,7	302
13. აბაშის რაიონი	3.736,6	3.226,6	3.736,6	184
14. ადაგვინის რაიონი	3.152,2	2.903,4	3.152,2	155
15. აბგროლაურის რაიონი	3.458,1	3.042,5	3.458,1	169
16. ასპინძის რაიონი	2.514,0	2.332,2	2.514,0	123
17. ახალქალაქის რაიონი	6.941,9	6.220,8	6.941,9	345
18. ახალციხის რაიონი	6.229,1	5.486,0	6.229,1	309
19. ახმეტის რაიონი	5.055,4	3.999,5	5.055,4	248
20. ბოგდანოვეკის რაიონი	4.636,0	4.307,1	4.636,0	229
21. ბოლნისის რაიონი	6.494,8	5.201,7	6.494,8	322
22. ბორჯომის რაიონი	4.857,3	3.952,2	4.857,3	240
23. გარდაბნის რაიონი	8.678,8	7.381,4	8.678,8	431
24. გეგეჭიორის რაიონი	6.056,4	5.442,1	6.056,4	300
25. გორის რაიონი	7.147,1	6.061,2	7.147,1	355
26. გურგანის რაიონი	6.533,4	4.682,6	6.533,4	324
27. ღმანისის რაიონი	5.107,6	4.753,8	5.107,6	252
28. ღუშეთის რაიონი	5.168,0	4.400,7	5.168,0	256
29. განის რაიონი	4.836,8	3.779,2	4.336,8	214
30. ზესტაფონის რაიონი	7.228,9	5.487,7	7.228,9	358
31. ზუგდიდის რაიონი	7.224,8	6.270,7	7.224,8	359
32. თეთრიწყაროს რაიონი	4.405,5	3.672,1	4.405,5	217
33. თელავის რაიონი	7.987,3	7.016,3	7.987,3	396
34. თერჯოლის რაიონი	4.634,5	3.408,7	4.634,5	229

1	2	3	4	5
35. თაინეთის რაიონი	3.419,2	3.067,0	3.419,2	167
36. კისის რაიონი	5.138,2	4.324,0	5.138,2	253
37. ლაგოდეხის რაიონი	5.662,9	5.864,9	5.662,9	281
38. ლანჩხუთის რაიონი	4.795,3	4.147,9	4.785,3	237
39. ლენტეხის რაიონი	2.998,4	2.797,6	2.998,4	146
40. მარჯორის რაიონი	3.880,3	2.680,6	3.880,3	191
41. მარნეულის რაიონი	9.043,3	7.390,4	9.043,3	449
42. მახარაძის რაიონი	8.991,7	7.492,6	8.991,7	446
43. მესტიის რაიონი	4.002,4	3.765,7	4.002,4	195
44. მცხეთის რაიონი	5.559,6	4.765,4	5.559,6	274
45. ონის რაიონი	2.936,5	2.640,8	2.936,5	144
46. ოზურგეთის რაიონი	4.090,7	3.623,3	4.090,7	202
47. საგარეჯოს რაიონი	4.702,1	4.031,7	4.702,1	232
48. სამტრედიის რაიონი	5.849,3	4.658,8	5.849,3	290
49. საჩხერის რაიონი	4.779,6	3.857,8	4.779,6	236
50. სიღნალის რაიონი	5.131,4	4.306,3	5.131,4	254
51. ქარელის რაიონი	4.906,1	4.193,2	4.906,1	243
52. ყაზბეგის რაიონი	1.840,6	1.630,4	1.840,6	90
53. ყვარლის რაიონი	4.609,2	3.966,1	4.609,2	228
54. ჩოხატაურის რაიონი	4.179,3	3.719,0	4.179,3	207
55. ჩხოროწყუჟის რაიონი	4.648,0	4.028,7	4.648,0	230
56. ცაგერის რაიონი	3.281,7	3.007,4	3.281,7	161
57. ცხაყაის რაიონი	5.608,2	4.661,6	5.608,2	277
58. წალენჯიხის რაიონი	5.548,9	4.932,8	5.548,9	274
59. წალენის რაიონი	5.835,8	5.365,6	5.835,8	290
60. წითელწყაროს რაიონი	4.304,7	3.602,0	4.304,7	212
61. წულუკის რაიონი	4.649,5	3.897,5	4.649,5	229
62. ხაშურის რაიონი	5.443,4	4.155,1	5.443,4	269
63. ხობის რაიონი	4.059,5	3.399,8	4.059,5	200
ს უ ლ	644.201,0	497.698,0	644.201,0	28.592

მ უ ს ლ ი 8. დამტკიცდეს 1979 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკური დაუყენებების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების აღვილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

- სატყეო შემოსავლიდან კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან და სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოვანიან მოქალაქეთა გადასახადიდან — 100 პროცენტი;
- ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;
- სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი;
- საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წყვეტის სამ-

კერვალო ფაბრიკის მოგებიდან წყნეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს ბიუჯეტის შემოსავალში ჩასარიცხად — 5,6 პროცენტი;

ე) მოსახლეობის ნაგებობების, საოჯახო ქონების, ტრანსპორტის საშუალებებისა და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, აგრეთვე უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 50 პროცენტი;

ვ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

		ანარიცხების პროცენტები	
		მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	ბრუნვის გადა- სახადიდან
1	2	3	
1. აფხაზეთის აეტონომიური საბჭო-			
თა სოციალისტური რესპუბლიკა .	31	67,5	
2. აჭარის აეტონომიური საბჭოთა სო-			
ციალისტური რესპუბლიკა . . .	51	64,0	
3. სამხრეთ ოსეთის აეტონომიური			
ოლქი . . . , . . . , . . .	100	76,7	
4. ქალაქი თბილისი	21	9,1	
5. ქალაქი ქუთაისი	24	11,9	
6. ქალაქი ფოთი	60	33,1	
7. ქალაქი ჭიათურა	70	26,7	
8. ქალაქი რუსთავი	52	61,7	
9. ქალაქი გორი	81	26,7	
10. ქალაქი ტყიბული	73	14,7	
11. ქალაქი ზუგდიდი	100	36,1	
12. ქალაქი წყალტუბო	24	4,7	
13. აბაშის რაიონი	50	83,2	
14. ადიგენის რაიონი	64	52,4	
15. ამბროლაურის რაიონი	63	54,8	
16. ასპინძის რაიონი	100	66,5	
17. ახალქალაქის რაიონი	50	18,4	
18. ახალციხის რაიონი	49	38,6	
19. ახმეტის რაიონი	79	71,0	
20. ბოგდანოვკის რაიონი	50	25,5	
21. ბოლნისის რაიონი	100	33,1	
22. ბორჯომის რაიონი	50	11,4	
23. გარდაბნის რაიონი	45	17,6	
24. გევგევორგის რაიონი	50	29,3	
25. გორის რაიონი	50	12,4	
26. გურჯაანის რაიონი	40	3,1	
27. დმანისის რაიონი	100	44,1	
28. ლუშეთის რაიონი	60	36,8	
29. ვანის რაიონი	50	73,9	

1	2	3
30. ზესტაფონის რაიონი	54	15,6
31. ზუგდიდის რაიონი	80	95,6
32. თეთრიწყაროს რაიონი	100	33,8
33. თელავის რაიონი	53	21,9
34. თერჯოლის რაიონი	50	9,2
35. თიანეთის რაიონი	100	71,4
36. კასპის რაიონი	53	8,5
37. ლაგოდეხის რაიონი	50	28,6
38. ლანჩხუთის რაიონი	50	61,3
39. ლენტეხის რაიონი	100	93,9
40. მაიაკოვსკის რაიონი	100	19,2
41. მარნეულის რაიონი	50	4,6
42. მახარაძის რაიონი	52	8,1
43. მესტიის რაიონი	70	17,4
44. მცხეთის რაიონი	50	22,4
45. ონის რაიონი	58	50,5
46. ორგონიკიძის რაიონი	100	42,9
47. საგარევოს რაიონი	50	8,6
48. სამტრედიის რაიონი	40	7,1
49. საჩხერის რაიონი	50	44,5
50. სიღნაღის რაიონი	50	9,2
51. ქარელის რაიონი	50	34,6
52. ყაზბეგის რაიონი	84	52,3
53. ყვარლის რაიონი	50	56,0
54. ჩოხატაურის რაიონი	50	10,3
55. ჩხოროწყუს რაიონი	50	25,4
56. ცაგერის რაიონი	100	79,7
57. ცხაჭარის რაიონი	50	4,6
58. წალენჯიხის რაიონი	50	91,7
59. წალენის რაიონი	52	55,9
60. წითელწყაროს რაიონი	50	57,5
61. წულუკიძის რაიონი	50	76,0
62. ხაშურის რაიონი	42	1,3
63. ხობის რაიონი	50	70,5

მ უ ხ ლ ი 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში სახალ-ხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სს რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული სამომხმარებლო კოოპე-რაციის საცალო საქონელბრუნვისაგან პროცენტობით გამოანგარიშებული ბრუნვის გადასახადის ნაწილი შემდეგი ოდენბით:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	30
ქალაქი ჭიათურა	35
ქალაქი ტყიბული	28
ქალაქი წყალტუბო	6
აბაშის რაიონი	19
ადიგენის რაიონი	34
ამბერილაურის რაიონი	18
ასპინძის რაიონი	36
ახალქალაქის რაიონი	15
ახალციხის რაიონი	22
ახმეტის რაიონი	14
ბოგდანოვეს რაიონი	17
ბოლნისის რაიონი	12
ბორჯომის რაიონი	14
გარდაბნის რაიონი	8
გვევეჯორის რაიონი	18
გორის რაიონი	10
გურგაანის რაიონი	5
ქასპიის რაიონი	10
ლაგოღების რაიონი	10
ლანჩხუთის რაიონი	9
ლენტეხის რაიონი	45
მაიკოვესკის რაიონი	13
მარნეულის რაიონი	8
მახარაძის რაიონი	7
მცხეთის რაიონი	43
მცხეთის რაიონი	8
ონის რაიონი	23

ორჯონიგიძის რაიონი	24
საგარეგოს რაიონი	11
სამტრედიის რაიონი	9
საჩხერის რაიონი	13
სიღნაღის რაიონი	8
ქარელის რაიონი	15
ყაზბეგის რაიონი	35
ყვარლის რაიონი	14
ჩიხატაურის რაიონი	19
ღმანისის რაიონი	26
დუშეთის რაიონი	17
განის რაიონი	16
ზესტაფინის რაიონი	10
ზუგდიდის რაიონი	8
თეთრიწყაროს რაიონი	11
თელავის რაიონი	11
თერჯოლის რაიონი	13
თიანეთის რაიონი	29
ჩიხორწყუს რაიონი	22
ცაგერის რაიონი	26
ცხეკაიას რაიონი	9
წალენჯიხის რაიონი	15
წალეის რაიონი	22
წითელწყაროს რაიონი	8
წულუკიდის რაიონი	16
ხაშურის რაიონი	8
ხობის რაიონი	12

მუხ. 10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, დარგობრივი და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების დასკვნებში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდიგარი თ. ლაშქარაშვილი, თბილისი, 1978 წლის 20 დეკემბერი.

დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

251 საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმიწოდებლის გიუჯეთის უსრულებელი ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:



დღმტკიცდეს საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გენერალულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 2.256.653 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 2.182.967 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 73.686 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმდგომარე პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდიგარი თ. ლაშვილაშვილი.
თბილისი, 1978 წლის 20 დეკემბერი.

დადგენილება სურართველოს, სარ შეაღლების საგარეო

252 საქართველოს სსრ მინისტრთა საგაოცემო უსახელ საქართველოს სსრ კანონის სამიზადოდ უკონდების წესის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენეს:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ სსრ კავშირის კანონისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად დაერქივა:

— საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს — საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფურის მთავარს სამმართველოს — საქართველოს სსრ გაზიფურის მთავარი სამმართველო;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარ სამმართველოს — საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო;

— საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს — საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ შრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოების წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური შენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ

უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე შედინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.

4. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულება, რომელიც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკ-ის მესამე სესიის მიერ 1924 წლის 8 ოქტომბერს და სამოქმედოდა შემოღებული სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკ-ის 1925 წლის 12 იანვრის დადგენილებით, (საქ. სსრ კან. კრ., 1925 წ., № 1, მუხ. 2).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაულიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაზვილი-თბილისი, 1978 წლის 21 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საჩართველოს საგარეო სოციალისტური რესპუბლიკისა

253 საჩართველოს სსრ მინისტრთა საგარეო შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმქარგულებელი ორგანო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმქარგულებელი ორგანო.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია ლენინური იდეებისა და პრინციპების საფუძველზე სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს როლსა და მოცანებს სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ფუნქციათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილის სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც საქართველოს სსრ კუბლიკის გამგებლობაშია, რამდენადაც ეს საკითხები კონსტიტუციის თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში არ შედის.

თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათს შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება საფალდებულოა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე.

შუბლი 2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაზი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებისა და სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეწევა საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ახორციელებს ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას სოციალიზმის ეკონომიკურ კანონთა და უპირატესობათა ყოველმხრივი გამოყენების საფუძველზე;

უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ამაღლებს წარმოების ეფექტიანობასა და მუშაობის ხარისხს საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულ დაქმაყოფილების მიზნით;

აუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობას და ამაღლებს მის კულტურას, იცავს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ხელშემწყობ პირობებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის;

კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის კულტურულ ერისა და ეროვნების შეკავშირებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით, უზრუნველყოფს საქართველოს სსრ კავშირის ინტერესების შეხამებას;

უზრუნველყოფს ბუნებრივ სიმღიდრეთა რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის;

სრულყოფს სახელმწიფო მართვას;

იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, იცავს და ამრავლებს სოციალისტურ საკუთრებას, კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას;

მონაწილეობს ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფად ონისძიებათა განხორციელებაში;

ახორციელებს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრული საგარეო პოლიტიკის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომელიც თავის საქმიანობაში ხელ-მძღვანელობს დემოკრატიული ცენტრალიზმის, სოციალისტური ფედერალიზ-მის, სოციალისტური კანონიერების, საჯაროობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით:

უზრუნველყოფს, რომ ერთმანეთთან შეხამბული იყოს სახელმწიფო მმართველობის საკითხთა ცენტრალიზებული გადაწყვეტა და რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის განვითარება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საკითხების კოლეგიური განხილვა და გადაწყვეტა და მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მუშაობის მინდობილ უბნებზე საქმის ვითარებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობა;

ორგანიზაციას უწევს შესაბამისი საკითხების გადაწყვეტის დროს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების წინადაღებათა გამოყლენასა და გამოყენებას, ინფორმაციას აწევდის მოსახლეობას თავისი მუშაობისა და მიღებულ ძირითად გადაწყვეტილებათა შესახებ;

უზრუნველყოფს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას;

ხელს უწყობს სსრ კავშირის უფლებამოსილებათა განხორციელებას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოთა გადაწყვეტილებებს.

იმ საკითხთა განხილვაში, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო წყვეტის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკური ორგანოები მათი საწესდებო ამოცანების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იუნიტებს მეცნიერების მიღწევებს სახელმწიფო მმართველობის საკითხთა გადაწყვეტის დროს.

მუხლი 4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეკმინის წესი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეკმინის წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - და მოადგილები, საქართველოს სსრ მინისტრები, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის შიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს შეუძლია საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანოს საქართველოს სსრ სხვა ორგანოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებები შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირებს თანამდებობიდან ათავისუფლებს და თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მის მორიგ სესიაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავის უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიაზე.

მუხლი 5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

ახლად შექმნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარადგენს განცხადებას თავისი მომავალი საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რეგულარულად აბარებს ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრი, რომელსაც შეკითხვით მიმართავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოვალენი არიან სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი გასცენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიათა რეკომენდაციებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებებს და დაწესებულ ვადაში აცნობს მათ განხილვის შედეგების ან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

II. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პომპეტენცია

მუხლი 6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კომიტეტის ზოგადი საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციითა და

საქართველოს სსრ კომსტიტუციით, სსრ კაცშირის კანონებით, ამ კანონითა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კაცშირის მიზანში მომზადება საბჭოს დაღვენილებებით გათვალისწინებული. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროების ხელმძღვანელობას, ახორციელებს საკაცშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების დარღების ხელმძღვანელობას;

ორგანიზაციას უწევს სიმოწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და გაერთიანებათა, ტრანსპორტისა და კაცშირგაბმულობის საწარმოთა, სამეცნიერო დაწესებულებათა, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაწვერდებარების სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მართვას;

განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოთა, გაერთიანებათა, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს;

განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ამოცანებსა და ფუნქციებს, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს; ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემის, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის;

კოორდინაციას უწევს და ყონიტორლებს საკაცშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას საქართველოს სსრ გამგებლობას მიეუთვენებულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მის კომპეტუნციაში შემავალი სახელმწიფო მმართველობის ცალკეული საკითხების გადაწყვეტა გადასცეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, თავის საქვეუწყებო სხვა ორგანოებს.

მუხლი 7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკის განვითარების დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ ეკონომიკის როგორც სსრ კაცშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენელი ნაწილის განვითარებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრიცეპების გათვალისწინებით, საწარმოთა, გაერთიანებათა და სხვა ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან ცენტრალიზებული მართვის შეხამების პირობებში;

2) იღებს ზომებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ოპტიმალუ-

რი ტემპის, ეროვნული შემოსავლის ზრდისა და მისი რაციონალური განაწილების უზრუნველსაყოფად; ხელს უწყობს საჭირო სახელმწიფო რეზერვების შექმნას;

3) შეიმუშავებს წინადაღებებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ, ორგანიზაციას უწევს მისი ერთგვაროვანი დარგების ჯგუფების მართვას, კოორდინაციას უწევს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას; ახორციელებს ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად;

4) მონაწილეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფო ბრივი, სადარგთაშორისო და ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტაში; უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტას;

5) უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის, მოგების, თვითორიებულებისა და სხვა ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების აქტიურ გამოყენებას; ახორციელებს ღონისძიებებს სოციალისტური წარმოების შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, ეკონომის რეენის გაძლიერებისათვის;

6) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მიწისა და მისი წიაღისეულის, წყლის რესურსების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენებისათვის, ჰაერისა და წყლის სისუფთავის დაცვისათვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა კვლავწარმოების უზრუნველყოფისა და ადამიანის გარემომცველი ბუნების გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალური განვითარებისა და კულტურის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) იღებს ზომებს შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე შრომის ანაზღაურების ღონის ამაღლებისათვის, მშრომელთა რეალური შემოსავლის, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გადიდებისათვის;

2) ახორციელებს ღონისძიებებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემის და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სრულყოფისათვის, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისა და გაკაუებისათვის, ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას;

3) მონაწილეობს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის განხორციელებაში; ორგანიზაციას უწევს სოციალური უზრუნველყოფის მართვას საქართველოს სს რესპუბლიკაში; ხელს უწყობს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ღონისძიებათა განხორციელებას;

4) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბანაო ფონდის განვითარებისა და დაცვისათვის; ხელს უწყობს კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას; უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისადმი;

5) იღებს ზომებს სახალხო განათლების ერთიანი სისტემის, კულტურის დაწესებულებათა ქსელის განვითარებისა და სრულყოფისათვის, საბჭოთა ადამიანების ზენობრივი და ესთეტიკური აღზრდის მიზნით სულიერ ღირებულებათა დაცვის, გამრავლებისა და ფართოდ გამოყენებისათვის, მათი კულტურულ ღონის ამაღლებისათვის; ხელს უწყობს პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას, იღებს ზომებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დასაცავად;

6) ახორციელებს ოონისძებებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სახელმწიფო სისტემების განვითარებისათვის; ორგანიზაციის უწევს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის მართვას; ხელს უწყობს კომპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში.

მუხლი 9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმები. იღებს ზომებს სახელმწიფო გეგმების განხორციელებისათვის, წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ანგარიშებს გეგმების შესრულების შესახებ;

2) ორგანიზაციის უწევს იმ მუშაობას, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა — საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურმა ორგანომ დაგეგმვის დარგში, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და სახელმწიფო კომიტეტებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებმა მოამზადონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტები; უზრუნველყოფს გეგმების შეწონასწორებასა და სტაბილურობას, დაგეგმვის მეთოდების სრულყოფას; იღებს ზომებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საწარმოო ძალების რაციონალური განლაგებისათვის, საქართველოს სსრ რესპუბლიკურის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების, რაიონების და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად;

3) მონაწილეობს კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, ორგანიზაციის უწევს ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კომპლექსური რესპუბლიკური პროგრამების შემუშავებას და უზრუნველყოფს მათს შესრულებას;

4. ხელს უწყობს აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის აღნაციის ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამო-სილებანი ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) იღებს ზომებს საქართველოს სს რესპუბლიკური საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისათვის;

2) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი, იღებს ზომებს მისი განხორციელებისათვის, წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ანგარიშს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

3) ხელს უწყობს ფულადი და საკრედიტო სისტემის განმტკიცების, სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას;

4) მონაწილეობს ფასების ერთიანი პოლიტიკის განხორციელებასა და ფასების სისტემის სრულყოფაში.

მუხლი 11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი შრომისა და ხელფასის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს მოქალაქეთა შრომის უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებებს; უზრუნველყოფს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; მონაწილეობს შრომის ანაზღაურების დარგში ერთიანი პოლიტიკის განხორციელებაში;

2) შეიმუშავებს ღონისძიებებს სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების განცხრელი ზრდის, საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებების ფართოდ დანერგვის უზრუნველსაყოფად, შრომის პირობებისა და დაცვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციის გასამუშაოებებისა და სოციალისტური შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად;

3) მონაწილეობს სსრ კაშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ხელფასის ნორმირებაში; ახორციელებს ღონისძიებებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ხელფასის მასტიმულირებელი როლის გაძლიერებისათვის; უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა და ხელფასის ზრდის ტემპის საჭირო თანაფარდობას, მატერიალური და მორალური სტიმულების შეხამებას;

4) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად იღებს ზომებს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისა და მისი ქმედითობის ამაღლებისათვის;

5) დადგენილი წესით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მონაწილეობით წყვეტის მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროისა და დასვენების დროის რეგულირების ცალკეულ საკითხებს;

6) საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით უზრუნველყოფს კადრების მომზადებისა და გამოყენების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციას.

მუხლი 12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) მონაწილეობს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ერთიანი პოლიტიკის განხორციელებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზების შემუშავებაში;

2) განსაზღვრავს უმნიშვნელოვანესი რესპუბლიკური მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის სამუშაოთა პროგრამებს;

3) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის, მეცნიერული კვლევის ეფექტურობის ამაღლებისათვის, მეცნიერული კვლევის შედეგების, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადაღებათა დანერგვისათვის;

4) წარმართავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობას.

მუხლი 13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის ღონისძიებებს;

2) წარმართავს სახელმწიფო, კომპერაციული და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას სოციალისტური საკუთრების დასაცავად;

3) უზრუნველყოფს კანონმდებლობის დაცვას საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, მისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების მიერ, სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაციის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, გაერთიანებებში, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

4) იღებს ზომებს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

მუხლი 14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში ღონისძიებებს ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად და თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად;

2) მონაწილეობს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების აღჭურვაში ყოველივე იმით, რაც აუცილებელია, რომ მათ მოიხადონ თავიანთი ვალი ხალხის წინაშე — საიმედოდ დაცვან სოციალისტური სამშობლო;

- 3) იღებს ზომებს მოქალაქეთა სამხედრო მომზადებისა და ნამდვილ სამწერლო დრო სამსახურში გასაჭვევიდ;
- 4) ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვას.
- მუხლი 15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დარგში**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

- 1) ახორციელებს სსრ კავშირის მიერ დაღვენილი წესით ხელმძღვანელობას უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს სს რესპუბლიკის ურთიერთობის დარგში:

- 2) ახორციელებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლობას უცხოეთის სახელმწიფოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

- 3) იღებს ზომებს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველყოფად და იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან საქართველოს სს რესპუბლიკისათვის;

- 4) ამტკიცებს და გაუქმდებულად აცხადებს საქართველოს სსრ სამთავრობა-თაშორისო საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

მუხლი 16. საკითხები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება

- საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების და კულტურის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ბუნების რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფის, საქართველოს სსრ საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, განიხილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგები, საქართველოს სსრ კანონთა პროექტები, აგრეთვე განიხილება და წყდება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები.

მუხლი 17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი. საკითხები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე წყდება

- სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხების გადასაწყვეტილ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედინან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია შეიყვანოს საქართვე-

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში საქართველოს სსრ მთავრობის სხვა წევრებიც.

III. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან

მუხლი 18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებთან

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობას მიყუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში და შეაქვს მათ განსახილველად წინადაღებანი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ურთიერთომოქმედებს სსრ კავშირის სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ამ ორგანოების კომპეტენციის განხორციელებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, სადარგთაშორისო და რეგიონალური პროგრამების შესრულებისას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური კავშირურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად ურთიერთომოქმედებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტილას.

მუხლი 19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წარმართავს და ამოწმებს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება, მონაწილეობენ აფხაზეთის, ასსრ მინისტრთა საბჭო და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეაქვთ წინადაღებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს საჭირო ურთიერთ-
მოქმედებას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებსა და საქარ-
თველოს სსრ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებს შორის მათი კომპეტენციის
განსახორციელებლად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმე-
ბის, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუ-
ბლიკური, სადარღვაშორისო და რეგიონალური პროგრამების შესარულებლად, წყვეტის ამ დროს წამოჭრილ საკითხებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს შეაჩეროს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება.

მუხლი 20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობას უწევს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც მის გამგებლობას განეკუთვნება, დადგენილი წესით მონაწილეობენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეაქვთ წინადალებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს საჭირო ურთიერთ მოქმედებას სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო თრგვანოებს შორის მათთვის კომპეტენციის გრძსასორიულებლად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომისარებული საერთო რესპუბლიკური სადარღვაშორისო და რეგიონალური პროგრამების შესასრულებლად, გადაწყვეტის ამ დროს წამოვრიც საჭითხებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს კონტროლს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობისაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს გააუქმოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დე-

პუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების განყოფილებათა და სამშართველოთა დებულებებს.

მუხლი 21. ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტებისადმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებისადმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იერთიანებს და წარმართავს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — მის პრეზიდიუმში შეაქვს წინადადებები საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების შექმნისა და გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ქმნის საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეთა კომიტეტებს, მთავარ სამშართველოებსა და სხვა უწყებებს, აგრეთვე გარდაქმნის და აუქმების ამ ორგანოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცებს დადგენილი წესით დებულებებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების შესახებ, დებულებებს (წესდებებს) თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების შესახებ, აგრეთვე მათი ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობასა და განსაზღვრავს მაში ცვლილებათა შეტანის წესს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტების, მთავარი სამშართველოებისა და სხვა უწყებების ხელმძღვანელებს, საქართველოს სსრ მინისტრების მოაღდგილებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოაღდგილებსა და თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების ხელმძღვანელთა მოაღდგილებს. ამტკიცებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების კოლეგიათა წევრებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების წევრებს.

მუხლი 22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონტროლი თავისი საქვეუწყებო ორგანოების საქმიანობისადმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სისტემატურ კონტროლს უწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების საქმიანობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იღებს ზომებს იმისათვის, რომ საქართველოს სსრ სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოები სრულად იყენებდნენ მინიჭებულ უფლებებს მათ-

თვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და თავიანთი ფუნქციების განხორციელებისათვის, მათ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების აქტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია დაადოს საქართველოს სსრ მინისტრებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარებს, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე მათს მოადგილებს დისციპლინური სასჯელი.

თავის საკონტროლო საქმიანობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ეყრდნობა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, რომელსაც ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, წარმართავს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში კონტროლის განსახორციელებლად, განიხილავს მის მიერ შემოწმებათა შედეგების საფუძველზე შეტანილ საკითხებსა და წინადადებებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შეყვანილია საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში.

მუხლი 23. საქართველოს წსრ სამინისტროები

საქართველოს სსრ სამინისტროები საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოებია. საქართველოს სსრ სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს და პასუხს აგებენ ამ დარგების მდგომარეობისა და განვითარებისათვის, სხელმწიფო გეგმების შესრულებისა და შესაბამისი დარგების წინაშე დასახული სხვა ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს, ამასთან ემორჩილებიან როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — სსრ კავშირის შესაბამის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს, ამასთან ემორჩილებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია დაკისროს საქართველოს სსრ სამინისტროებს სადარგთაშორისო მმართველობის ცალკეული ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს სსრ სამინისტროები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანო-

ნების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების აქტების საფუძველზე და შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ სამინისტროებს სათავეში უდგანან მინისტრები, რომლებიც პერსონალურად აგებენ პასუხს იმისათვის, რომ შესაბამისმა სამინისტროებმა შესასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანები და განახორციელონ თავიანთი ფუნქციები.

მუხლი 24. საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები

საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოებია. საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები ახორციელებენ სადარგთაშორისო მართვას და პასუხს აგებენ მათთვის მინდობილი მმართველობის სფეროს მდგომარეობისა და განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები ახორციელებენ სადარგთაშორისო მართვას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — დარგობრივ მართვას, ამასთან ემორჩილებიან როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის შესაბამის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები ახორციელებენ სადარგთაშორისო მართვას, ამასთან ემორჩილებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია დაკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს მმართველობის დარგების ხელმძღვანელობის ცალკეული ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტების აქტების საფუძველზე და შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს სათავეში უდგანან სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარებები, რომლებიც პერსონალურად აგებენ პასუხს იმისათვის, რომ შესაბამისმა სახელმწიფო კომიტეტებმა შესასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანები და განახორციელონ თავიანთი ფუნქციები.

IV. საქართველოს სსრ საგინისტროებისა და სახელმწიფო
კომიტეტების წესრიგი

საქართველოს სარ მინისტრთა საბჭოს საქვეუფლებო სევა
ორგანო

შუბლი 25. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები
საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს განეკუთვ-
ნებიან:

- საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო,
- საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო,
- საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო,
- საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
- საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო,

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო,
საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.
მუხლი 26. საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროები
საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამინისტროებს განეკუთვნებიან:
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამი-
ნისტრო,

მუხლი 27. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის კომიტეტები

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტებს განკუთვნებიან:

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი,

საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი,

საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი,

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი,

საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტი,

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი,

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი,

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი,

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი,

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 28. საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები

საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტებს განკუთვნებიან საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანოებია საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამოთხ ზედამხედველობის კომიტეტი, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამსართველო, საქართველოს სსრ გაზიფიციის მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო, რომელთა ხელმძღვანელები დადგენილი წესით შეჰყავთ საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებოა აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, კაბიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო და სამეცნიერებლო, სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეთა სხვა კომიტეტები, მთავარი სამმართველოები, უწყებები და — საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად — სხვა ორგანოები.

საქართველოს, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის გადასაწყვეტად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მოქმედებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი.

V. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომები და სხდომებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომები ეწყობა კვარტალში ერთ-ხელ მაინც. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები ეწყობა რეგულარულად (საჭიროების კვალობაზე).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე გადაწყვეტილებებს იღებს შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრთა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეთაურობს საქართველოს სსრ მთავრობას და წარმართავს მის საქმიანობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დავალებით ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს შესაბამის წინადადებას;

წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შესიებს შუა პერიოდში — მის პრეზიდიუმს წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ პირთა თანამდებობიდან განთავისუფლებისა და თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;

ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობას და ხელმძღვანელობს მათს სხდომებს;

კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილების საქმიანობას;

უზრუნველყოფს კოლეგიურობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობაში;

წარმომადგენლობს საქართველოს სსრ რესპუბლიკას საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კანონების შესაბამისად;

გადაუდებელ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილები მოვალეობათა განაწილების შესაბამისად კოორდინაციას უწევს.

ვენ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოების საქმიანობას, ახორციელებენ კონტროლს ამ ორგანოების საქმიანობისადმი და აძლევენ მათ ოპერატორული წესით მითითებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და მათი საქმიანობის სხვა საკითხებზე; წინასწარ განიხილავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შეტანილ წინადადებებსა და დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის აღყოფნის შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მუხლი 32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხვა სამუშაო ორგანოები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს აქვს მუდმივი კომისიები. ამ კომისიათა ამოცანებს, ფუნქციებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სახალხო მეურნეობის დარგების ან მმართველობის სფეროების განვითარებასთან დაკავშირებულ წინადადებათა მოსამაზადებლად, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტების შესამუშავებლად და გადაწყვეტილებათა პროექტების გამო უთანხმოების განსახილველად, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად შეიძლება შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დროებითი კომისიები და სხვა სამუშაო ორგანოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინადადებათა შეტანისა და განხილვის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომელთაც ნორმატიული ხასიათი ან დიდი სახალხო-სამეურნეო და ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, გამოიცემა დადგენილებათა ფორმით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ქვეყნდება საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულში, ხოლო თუ აუცილებელია მათი ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნება, მათს საყოველთაო გაშუქებას უზრუნველყოფენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

გადაწყვეტილებანი ოპერატორულ და სხვა მიმღინარე საკითხებზე გამოიცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებათა ფორმით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს ხელს აწერენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს სსრ მინის-

ტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებებს ხელს აწერენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

მუხლი 34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარატი

საქართველოს სსრ მთავრობის პარატს, რომელიც ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსაზღვეულ საკითხებს და უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას, წარმოადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, რომელიც შედგება განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფებისაგან.

საქართველოს სსრ მთავრობის აპარატს სათავეში უდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელიც დადგენილი წესით შეჰყავთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემაღებელობაში.

დებულებას სკარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მთართველობის შესახებ და მის სტრუქტურას ამტკიცებს სკარტველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარე პ. ვილაზვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის მდივანი თ. ლაშვილისვილი.

ତଥାଲୋଦି, 1978 ଜୁଲାଇ 21 ଦେଖାଇଥିରୁ.

336060

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶ ପରିଚାଳନା କୌଣସି ପରିଷଦ ରୁହଣୀଙ୍କଳିକା

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენებს:

- დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტყის კოდექსი და შემოლებულ იქნეს სამოქმედოდ 1979 წლის 1 მაისიდან.
 - დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოლების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს კოდექსს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამის საქართველოს სსრ ტერი კონფის.

საქართველოს სსრ მმალობის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარი პილატვილი

କେବଳତାପଣେ କୁରୁ ଅଧିକାରୀଙ୍କ ହାତିଲେ ପରିବିହାରମିଳି ମିଳାଯାଏ । ଓ ଲାଭପରିବାହନଙ୍କି

ଓঞ্জনী পাতা ১৯৭৮ খণ্ড ২১

საქართველოს სსრ ტურ კოდექსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ტყე, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრენი, ნაციონალიზებულ იქნა და ხალხის კუთვნილება გახდა. სრულად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 27 (14) მაისის დეკრეტმა „ტყის შესახებ“ განსაზღვრა მთელი ხალხის ინტერესებისათვის ტყის გამოყენების მიზნით სატყეო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.

სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობრივი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანშის საფულველზე შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ტყის ხახელმწიფო ბაკუთრება სატყეო ურთიერთობის, ესე იგი ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და დაცვის დარგში საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფულველი და სატყეო მეურნეობის რაციონალური გაძლილის მთავარი წანამძღვარია.

სსრ კავშირში ტყე დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში, გარემოს გაუმჯობესებაში, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი მერქანსა და ტყის სხვა პროდუქციაზე ქვეყნის მოთხოვნილებათა დაქმაყოფილების წყაროა, სასიკეთო გავლენას ახდენს ჰავაზე, ატმოსფეროზე, მდინარეებისა და წყლის სხვა ობიექტების ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, იცავს ნიადაგს ქარისშიერა და წყლისმიერი ეროზისაგან, აქვს სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებები. ტყეებს სულ უფრო მეტად იყენებენ გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის, მოსახლეობის კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები და საკოლმეურნეო ტყეები უპირატესად წყალშემნახავ, დაცვის, სანიტარიულ-ჰიგიენურ და გამაჯანსაღებელ ფუნქციებს ასრულებენ და აქვთ შეზღუდული საექსპლოატაციო მნიშვნელობა.

ტყის მრავალმხრივი მნიშვნელობა და მისი გაშენების ხანგრძლივობა ტყის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების, დაზოგვისა და გამრავლების საქმეს საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანის ხასიათს ანიჭებს.

საბჭოთა ტყის კანონმდებლობა აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს ტყეების მეცნიერულად დასაბუთებულ, კომპლექსურ გამოყენებას, მის გეგმაზომიერ წარმოებასა და ეფექტურ დაცვას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის, საბჭოთა ადამიანების აღზრდას ტყისაღმი, როგორც ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილისადმი, ყაირათიანი, მზრუნველი დამოკიდებულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

კართი

ზოგადი დებულებანი

თ ა ვ ი Ⅰ

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის ამოცანები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტყის კანონმდებლობის ამოცანებია სატყეო ურთიერთობის რეგულირება, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ტყების რაციონალური გამოყენება, მათი მოვლა-დაცვა, აღწირმოება და პროდუქტიულობის გადიდება მერქანტისა და ტყის სხვა პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ტყების წყალშემნახვი, დაცვითი, ჰაერის მარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაფანსალებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გასაძლიერებლად, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, კანონიერების განმტკიცება სატყეო ურთიერთობის დარგში.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სატყეო ურთიერთობას არეგულირებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები.

მუხლი 3. საადგილმამულო, საწყლო და სამთო ურთიერთობების რეგულირება

საადგილმამულო, საწყლო და სამთო ურთიერთობებს საქართველოს სს რესპუბლიკაში არეგულირებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 4. ტყის სახელმწიფო საკუთრება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ტყე სახელმწიფო საკუთრება—მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებაა.

სსრ კავშირში ტყე მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და მხოლოდ სარგებლობისათვის გაიცემა. ყოველგვარი მოქმედება, რომელიც აშენიად თუ ფარულად არღვევს ტყის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, აკრძალულია.



მუხლი 5. ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდი. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის ყველა ტყე ქმნის ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდს.

ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდში შედის:

1) სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები, ანუ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში შემავალი ტყეები, ქალაქის ტყეები, მიჩენილი ტყეები და ნაკრძალთა ტყეები;

2) საკოლმეურნეო ტყეები, ანუ კოლმეურნეობებისათვის უვალო სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე არსებული ტყეები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებად ითვლება ტყით დაფარული მიწები, აგრეთვე ტყით დაუფარავი, მაგრამ სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის განკუთვნილი მიწები. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრები, რომლებიც მათ სხვა კატეგორიის მიწებისაგან გამიჯნავენ, განისაზღვრება დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხე-ბუჩქნარი, რომელიც არ შედის სახელმწიფო ტყის ფონდში

სახელმწიფო ტყის ფონდში არ შედის:

ხეები და ხეთა ჭგუფები, აგრეთვე სხვა ხე-ბუჩქნარი მცენარეულობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე;

დაცვითი ნარგავები რკინიგზების, საავტომობილო გზებისა და არხების განსხვისების ზოლებში;

ხეები და ხეთა ჭგუფები, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გამწვანების მიზნით გაშენებული ნარგავები ქალაქის ტყეებით დაუკავებელ მიწებზე;

ხეები და ხეთა ჭგუფები საკარმილამ, სააგარაკო და ბალების ნაკვეთებზე.

აღნიშნული ნარგავების გაშენება, მოვლა და გამოყენება ხდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 7. სსრ კავშირის კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას ეკვემდებარება:

1) ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ფარგლებში;

2) ტყეებით სარგებლობის, ტყის აღწარმოების, პროდუქტიულობის გადადების, მოვლა-დაცვის ძირითადი დებულებების დადგენა.

3) სსრ კავშირის ტყეკაცის ფონდის ოდენობის, მისი განაწილებისა და ზეზეური ხის გაცემის წესის დადგენა;

4) ქვეყნის სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების ძირითადი მიმართულებებისა და პერსპექტიული გეგმების დადგენა;

5) ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოების, პროდუქტიულობის გადიდებისა და მოვლა-დაცვის დარგში საერთო-საკავშირო ღონისძიებათა დაგეგმვა;

6) შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთხნებისა და ერთი ჯგუფიდან მეორეში მათი გადაყვანის წესის დადგენა;

7) სსრ კავშირისათვის ტყეთმოწყობის, ტყეების აღრიცხვის ერთიანი სისტემებისა და სახელმწიფო ტყის კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

8) ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა, და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა.

მუხლი 8. საქართველოს სსრ კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში საქართველოს სს რესპუბლიკის გამეცხვდებარება: ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე; ტყეებით სარგებლობის, ტყის აღწარმოების, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის წესის დადგენა; სატყეო მეურნეობის, განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების პერსპექტიული გეგმების დადგენა: ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოების, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის დარგში რესპუბლიკური ღონისძიების დაგეგმვა; ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე სატყეო ურთიერთობის სხვა საკითხების რეგულირება, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციას არ განკუთვნება.

მუხლი 9. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამეცხვდებარება: ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა; მონაწილეობა სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების დაგეგმვაში; ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე სატყეო ურთიერთობის სხვა საკითხების რეგულირება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

თ ა გ ი II

სახელმწიფო განართველობა უზევების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარღვი. ტუეების მმართველობა გამოყენების, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმისა და სახელმწიფო განართველობა უზევების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარღვი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკური ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარღვი სახელმწიფო მმართველობას საქართველოს სსრ რესპუბლიკური ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები არიან საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები. ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარღვი საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების სახელმწიფო მმართველობის კომიტეტებისა განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკური ტყის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობის, ამ კოდექსისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებლივი კომიტეტების სახელმწიფო მმართველობის კომიტეტებისა და მოვლა-დაცვის დარღვი

ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარღვი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობას ექვემდებარება: მონაწილეობა სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების დაგეგმვაში, ტყეების მოვლა-დაცვისა და ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების უზრუნველყოფა, აგრეთვე ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარღვი სხვა იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელიც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით მათ კომიტეტების განეკუთვნებიან.

მუხლი 12. ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანები

ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოების და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრი

რომ, უწყებამ, სახელმწიფო, კონპერაციულმა, საზოგადოებრივმა საჭარბომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და მოქალაქემ დაიცვას ტყეების გამოყენების დადგენილი წესები, სატყეო მეურნეობის გაძლოლის, ტყეების აღწარმოების, აღრიცხვისა და დაცვის წესები, აგრეთვე ტყის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესები და ნორმები.

მუხლი 13. ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს

ყველა ტყის მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმეორებულებელი ორგანოები, აგრეთვე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები და სხვა სპეციალურად სამისილუფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობა ტუმბის რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებითა განხორციელებაში

მუხლი 14. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ხელისშეწყობა ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროცესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოება, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებსა და კოლმეურნეობებს ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

მუხლი 15. ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობის წესი

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის უზრუნველსაყოფა საქმიანობაში მათი წესდებების (დებულებების), სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქალაქეები სახელმწიფო ორგანოებსა და კოლმეურნეობებს ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში ხელს უწყობენ იმით, რომ უშუალოდ მონაწილეობენ საჭი-



რო სამუშაოებში, შეაქვთ წინადადებანი ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის გაუმჯობესების შესახებ, ატყობინებენ ტყის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების მათვების ცნობილ დარღვევებს.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას.

!

მუხლი 16. საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციები

ხანძრის, უკანონდ გაჩერების, ტყითსარგებლობის დადგენილი წესის დარღვევებისა და ტყისათვის ზიანის მიმყენებელი სხვა მოქმედებისაგან ტყის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელის შეწყობის მიზნით იმ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, იქმნება საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციები.

დებულება საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციების შესახებ მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 17. სასკოლო ნატყეოები

ბუნებისაღმი სიყვარულისა და მზრუნველი დამოკიდებულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის, ბიოლოგიასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით იქმნება სასკოლო სატყეოები.

სასკოლო სატყეოები: ეხმარებიან საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, ტყეების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში, მონაწილეობენ ტყის დარგვას და თესვაში, სარგავი მასალის გამოყვანაში, სამკურნალწამლო ნედლეულის, სოკოს, კენკრის, ხისა და ბუჩქოვანთა თესლის შეგროვებაში, საკვები ბალაზის დამზადებაში, გარეულ ნაღირ-ფრინველთა დაცვასა და გამოკვებაში და ა. შ.

დებულება სასკოლო სატყეოთა შესახებ მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თ ა ვ ი IV

სატყეო მეურნეობის გაძლიერების ძირითადი მოთხოვები. სატყეო მეურნეობის სახელმისამისო ინგრეგირების უფლება-მოვალეობა მიზანის გამოყენებისა და დაცვის დარგში

მუხლი 18. სატყეო მეურნეობის გაძლიერების ძირითადი მოთხოვები

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ სატყეო მეურნეობის დაგეგმვას, ორგანიზაციისა და გაძლიერების, ტყის რესურსების გამოყენებას, ტყეების, სახალხო-სამე-

ურნეო მნიშვნელობისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, მოვალე-ნი არიან უზრუნველყოფა:

ტყეების წყალშემნახვი, დაცვითი, ჰეკის მარეგულირებელი, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი ოვისებების გაძლიერება ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, გარემო ბუნების გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მიზნით.

ტყეებით უწყვეტი, არაგამანადგურებელი და რაციონალური სარგებლობა მერქანსა და ტყის სხვა პროდუქტების სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა გეგმაზომიერი დაკმაყოფილებისათვის;

ტყეების გაფართოებული აღწარმოება, ჯიშობრივი შედგენილობისა და ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქტების გადიდება;

ტყეების მოფრთხილება, ხანძრისაგან, მავნებელ-დავადებათაგან დაცვა; სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებისა და ტყით დაკავებული სხვა მიწების რაციონალურად გამოყენება;

სატყეო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობის ამაღლება ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიწევების საფუძველზე.

ტყის მოვლა, აგრეთვე მისი დაცვა მავნებელ-დავადებათაგან უნდა ხორციელდებოდეს ისეთი ხერხებითა და მეთოდებით, რომლებიც არას ვნებენ ადამიანსა და გარემო ბუნებას.

მუხლი 19. სატყეო მეურნეობის გაძლოლის ღონისძიებათა დაგეგმვა

სატყეო მეურნეობის გაძლოლის ღონისძიებანი გათვალისწინებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში ხანგრძლივი პერსპექტივით და მათ ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და სატყეო-სამეურნეო საწარმოები.

საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლოლის ღონისძიებანი გათვალისწინებულია კოლმეურნეობების, მეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობების (სატყეოების) საწარმო-საფინანსო გეგმებში სატყეო მეურნეობის გაძლოლის პერსპექტივული გეგმების შესაბამისად.

მუხლი 20. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობანი მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები და მათი საქვეუწყებო სატყეო-სამეურნეო საწარმოები თარგანიზაციას უწევენ მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებას და უზრუნველყოფებ ამ საწარმოთა სარგებლობაში არსებული მიწების დაცვას, განსაზღვრავენ ფართობებს, სადაც უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სახეობის ტყითსარგებლობა და შესრულდეს ტყის აღწარმოებისა და მოვლის ღონისძიებანი, ამ კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად გადასცემენ მიწის ნაკვეთებს ტყითსარგებლობისა და მასთან დაკავშირებული საჭიროებებისათვის, გამოყოფენ ნაკვეთებს ტყის სანერგების, პლანტაციებისა და სხვათა მოსაწყობად, აგრეთვე მათ შეიძლება პერნდეთ სხვა უფლება-მოვალეობა.



ბანი აღნიშნული მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი ვრცელდება აგრეთვე სხვა საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძლევებიან, და მათ ზემდგომ ორგანოებზე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ორგანოები კონტროლს უწევენ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყენებას მათი მიზნობრივი დანიშნულებით და ამ მიწების დაცვას სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თ ა ვ ი ს

სატყეო მიურნეობის გაძლოლა სახელმწიფო მინისტრის ტრევიზი

მუხლი 21. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებსაც ეკისრებათ სატყეო მეურნეობის გაძლოლა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლოლა ეკისრებათ:

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს (ქალაქის ტყეების, მიჩენილი ტყეებისა და ნაკრძალთა ტყეების გარდა);

ქალაქის ტყეებში — სატყეო-სამეურნეო და სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს. ქალაქის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლოლა შეიძლება ხორციელდებოდეს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად;

მიჩენილ ტყეებში — სატყეო-სამეურნეო და სამინისტროებისა და უწყებების სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, რომელთაც მიჩენილი აქვთ ეს ტყეები;

, ნაკრძალების ტყეებში — ნაკრძალებს.

მუხლი 22. იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოვალეობანი, რომლებიც უძლევებიან სატყეო მეურნეობას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძლევებიან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, ეკისრებათ ტყეების აღწარმოება, მოვლა-დაცვა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყეების პროდუქტიულობისა და ტყის ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება, ტყითსარგებლობის ორგანიზაცია, ტყეების აღრიცვა და სატყეო მედიდება, ტყითსარგებლობის აღრიცვა და სატყეო მე-

ურნეობის გაძლოლის სხვა მოვალეობანი, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 23. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ხა-
ხლმწიფო ორგანოების წესების, ინსტრუქციებისა და მითო-
თებების სავალდებულობა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების წესები, ინსტრუქციები და მითოთებები სსრ კავშირისა და საქართ-
ველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ უფლებათა ფარგლებში სავალდებუ-
ლოა სამინისტროებისათვის, უწყებებისათვის, საწარმო-ორგანიზაციებისა და
დაწესებულებებისათვის, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძლოლა,
ტყითმოსარგებლებისათვის, აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციებისათვის, დაწესე-
ბულებებისა და მოქალაქეთათვის, რომლებიც ტყეში და სახელმწიფო ტყის
ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე ეწევიან სამუშაოებს, რომლებიც არ არის
დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძლოლასთან და ტყითსარგებლობის
განხორციელებასთან.

მუხლი 24. იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მითო-
თებათა სავალდებულობა, რომლებიც უძლვებიან სატყეო მე-
ურნეობას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში

იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მითოთებანი, რომლებიც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ
უფლებათა ფარგლებში უძლვებიან სატყეო მეურნეობას სახელმწიფო მნიშვნე-
ლობის ტყეებში, სავალდებულოა ყველა ტყითმოსარგებლისათვის, აგრეთვე
საწარმო-ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისა და მოქალაქეებისათვის,
რომლებიც ამ ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ შესა-
ბამის მიწებზე ეწევიან სამუშაოებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სა-
ტყეო მეურნეობის გაძლოლასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან.

მუხლი 25. იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ტყით-
სარგებლობის განხორციელების უფლება, რომლებიც უძლვე-
ბიან სატყეო მეურნეობას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში

საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მე-
ურნეობას უძლვებიან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, შეუძლიათ დად-
გენილი წესით განახორციელონ ამ კოდექსის 43-ე მუხლით გათვალისწინებუ-
ლი ტყითსარგებლობა.

თ ა ვ ი VI

სატყეო მეურნეობის გაძლოლა საპოლიტიკურები ტყეებში

მუხლი 26. საკოლმეურნეო ტყეები

კოლმეურნეობებისათვის უვალო სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე არ-



სებული ტყეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია მიწის სა-აღრიცხვო დოკუმენტებში, საკოლმეურნეო ტყეებად ითვლება.

საკოლმეურნეო ტყეები კოლმეურნეობებს უვადო სარგებლობაში აქვთ.

მუხლი 27. საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლილის წესი

სსრ კავშირისა და მოქავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის სა-ფუძველების შესაბამისად სატყეო მეურნეობას საკოლმეურნეო ტყეებში უძლევებიან კოლმეურნეობები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საკოლმეურნეო ტყეების დებულების მიხედვით. კოლმეურნეობებს შეუძლიათ სატყეო მეურნეობას გაუძლვნენ სხვა კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და საწარმო-ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ერთად სსრ კავშირისა დ საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წენით.

საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძლილას ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების დახმარება კოლმეურნეობებისადმი

მუხლი 28. საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლილის საქმეში სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების დახმარება კოლმეურნეობებისადმი

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები კოლმეურნეობებს ეხმარებიან სატყეო მეურნეობის გაძლილის დაგეგმვა-ორგანიზაციაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ორგანიზაციის უწევენ იმას, რომ მათდამი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა კოლმეურნეობებთან (ორგანიზაციებთან, რომლებიც უძლევებიან სატყეო მეურნეობას საკოლმეურნეო ტყეებში) დადებული ხელშეკრულებებით შესარულონ სატყეო-სამეურნეო, სატყეო-საკულტურო და ტყის დაცვის სამუშაოები.

თ ა ვ ი VII

ტემატიკა ჯგუფები

მუხლი 29. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებისა და საკოლმეურნეო ტყეების ჯგუფებად დაყოფა

სსრ კავშირისა და მოქავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების თანახმად, ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, ადგილმდებარეობისა და შესასრულებელი ფუნქციების, შესაბამისად შემოღებულია ტყეების ჯგუფებად დაყოფა. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები იყოფა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებად, ხოლო საკოლმეურნეო ტყეები — პირველ და მეორე ჯგუფებად.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ტყეები, რომლებიც უპირატესად ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორიც არის:

წყალშემნახავი (მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის სხვა ობიექტების ნაპირებზე აკრძალული ტყის ზოლები). მათ შორის აკრძალული ტყის ზოლები, რომლებიც ძვირფასი სარეწაო თევზის საქვირითებს იცავენ);

დაცვითი (ეროზისასაწინააღმდეგო ტყეები, მათ შორის ციცაბო მთის ფერ-

დობებზე შეფენილი ტყის უბნები, სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები, სა-
ვითი ტყის ზოლები რეინიგზების, საერთო-სახელმწიფო და რესუბლიკური
მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწრივ, განსაკუთრებით ძვირფასი
ტყის მასივები);

სანიტარიულ-ჰიგიენური და გამაჯანსალებელი (ქალაქის ტყეები, ქალაქე-
ბის, სხვა დასახლებული პუნქტებისა და საწარმოების გარშემო
მდგბარე მწვანე ზონების ტყეები, წყალმომარაგების წყაროებისა და კურორ-
ტების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეები. სსრ კავშირის კანონმდებლობის
შესაბამისად წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონის ტყე-
ებში, რომლებიც პირველ ჯგუფს უნდა განეკუთვნოს, იგულისხმება წყალმო-
მარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების პირველი და მეორე
სარტყლების ტყეები);

პირველ ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ნაკრძალების, ეროვნული და ბუ-
ნებრივი პარკების ტყეები, ნაკრძალი ტყის უბნები, მეცნიერული ან ისტორი-
ული მნიშვნელობის ტყეები, ბუნებრივი ძეგლები, ტყეპარკები, კალოვანთა
სარეწაო, ზონების ტყეები, ტყის ხეხილის ნარგავები და სუბალპური ტყეები.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება ტყეები, რომლებიც მჭიდროდ დასახლებულ
და სატრანსპორტო გზების განვითარებული ქსელის რაიონებშია და რომელ-
თაც დაცვითი და შეზღუდული საექსპლუატაციო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთ-
ვე ეფ-ტყის ედლეულის არასაკმარისი რესურსების მქონე ტყეები, რომელ-
თა დაცვითი ფუნქციების, უწყვეტი და არაგამანაღგურებელი სარგებლობის
უზრუნველსაყოფად საჭიროა ტყითსარგებლობის უფრო მკაცრი რეჟიმი.

მეორე ჯგუფის ტყეებს განეკუთვნება აგრეთვე ყველა საკოლმეურნეო
ტყე, რომლებიც პირველ ჯგუფში არ შედის.

მესამე ჯგუფს განეკუთვნება მრავალტყიანი რაიონების ტყეები, რომ-
ლებსაც უპირატესად საექსპლუატაციო მნიშვნელობა აქვთ და განეკუთვნილია
ძირისათვის, რომ განუწყვეტლივ კრიოფილდებოდეს სახალხო მეურნეობის მო-
თხოვნილებები მერქანზე ამ ტყეების დაცვითი ოვისებებისათვის ზისინის მიუ-
ყენებლად.

მესამე ჯგუფის ტყეები იყოფა თვისებულ და სარეზერვო ტყეებად.

სარეზერვოდ ითვლება ტყე, რომელსაც საექსპლუატაციო არ იყენებენ
სატრანსპორტო გზებიდან სიშორისა და სხვა მიწეზების გამჟღავნების დროის მიუ-
ყენებლად.

შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიყენებული მიწის საზღვრები.

პირველი და მეორე ჯგუფის ტყეებში და ყველა ჯგუფის მთის ტყეებში
შეიძლება გამოიყოს განსაკუთრებული დაცვითი უბნები, სადაც ტყითსარგე-
ბლობის შეზღუდული რეჟიმი იქნება.

მუხლი 30. ტყეების ჯგუფის მიხედვით მეურნეობის გაძლილის, ტყეებისა
და შესაბამისი მიწების გაშოყენების წესის დადგენა

ტყეების ჯგუფის მიხედვით დადგენილია ამ ტყეებში მეურნეობის გაძლ-
ილის, ტყეებისა და შესაბამისი მიწების გამოყენების, აგრეთვე ამ მიწების სა-



ხელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადასაცემად ჩამორთმევის წესი.

მუხლი 31. ამა თუ იმ ჯგუფისათვის ტყეების მიკუთვნების, მათი ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანის, აკრძალული და დაცვითი ზოლების სიგანის დადგენისა და განსაკუთრებული დაცვითი უბნებისათვის ტყის უბნების მიკუთვნების წესი

ამა თუ იმ ჯგუფისათვის ტყეების მიკუთვნება, მათი ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანა, აკრძალული და დაცვითი ზოლების სიგანის დადგენა, ციცაბო მთის ფერდობებზე შეფენილი ტყის უბნების მიკუთვნება დაცვითი ტყეებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული დაცვითი ტყის უბნების გამოყოფა წარმოებს ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, აღგილდებარეობის, შესასრულებელი ფუნქციებისა და ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე, სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით. მსხვილი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით ტყეების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადაყვანა ობიექტების მშენებლობის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს.

მუხლი 32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებისა და მათი ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანის საქმეში

სსრ კავშირის კანონმდებლობის მიხედვით შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებას და მათს გადაყვანას ერთი ჯგუფიდან მეორეში ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

თ ა ვ ი VIII

სატყეო ფართობების გადაზვანა არასატყეო ფართობებად

მუხლი 33. სახელმწიფო ტყის ფონდის შიწების შემაღენლობა

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემაღენლობაში გამოიყოფა: სატყეო ფართობები (ტყით დაფარული, აგრეთვე ტყით დაუფარავი — გაუტყევებელი ნაკაფები, ნახანძრალები, გამეჩერებული კორომები, ყალთალები, ცარიელი დაგილები და ა. შ.).

არასატყეო ფართობები (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, გზები, განაკაფები და ა. შ.).

მუხლი 34. სატყეო ფართობების არასატყეო ფართობებად გადაყვანის წესი მათს გამოსაყენებლად იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძლიერებასთან

არასატყეო ფართობების გადაყვანა არასატყეო ფართობებად მათს გამოსა-

ყენებლად იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სტრუქტურული მეურნეობის გაძლოლასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან, წარმოება:

პირველი ჯგუფის ტყეებში — გამონაკლის შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით;

მეორე და მესამე ჭგულის ტყებში — სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დაგენილი წესით.

იმ მიზნებისათვის გამოსაყენებლად, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძლოლასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებას-თან; სატყეო ფართობების არასატყეო ფართობებად გადაყვანის შესახებ შუამ-დგომლობის აღძვრისა და განხილვის წესს აღგენს საქართველოს სსრ მინისტრ-თა საბჭო.

მუხლი 35. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ტყით
დაკავებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას ტყის გამო-
ყენების წესი

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ტყით დაკავებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას ჩამორთმევის გადაწყვეტილების მიმღებმა სახელმწიფო ორგანოებმა ამასთანავე უნდა გადაწყვეტონ ტყის შენარჩუნების თუ გაჩეხისა და ამ დროს მიღებული მერქნის გამოყენების წესის საკითხი. საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც გადაეცათ მიწის ნაკვეთები ტყის გაჩეხის უფლების გარეშე, მოვალენი არიან უზრუნველყონ ამ ნაკვეთებზე ხებუჩქარის დაცვა და მოვლა.

თუ შემდგომში საჭირო გახდება ტყის გაჩენა, ტყის გაჩენისა და ამ დროს მიღებული მერქნის გამოყენების წესის საკითხს გადაწყვეტს სახელმწიფო ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის თაობაზე.

0530 IX

მუხლი 36. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლიერებისთვის დაკავშირებული საწარმოო ინიციტების მშენებლობა

საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, შეუძლიათ დადგენილი წესით აშენონ ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაკავებულ მიწებზე სატყეო მეურნეობის გაძლილასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტები და საჭიროების შემთხვევაში (იმ ორგანოების ნებართვით, რომლებსაც აქვემდებარებიან ეს საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი) გადაიყვანონ სატყეო ფართობები არასატყეო ფართობებად.



მუხლი 37. საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლილასთან
დაკავშირებული საწარმოო ობიექტების მშენებლობა

კოლმეურნეობებს, რომლებსაც სარგებლობაში აქვთ ტყეები, შეუძლიათ
მათთვის უვალო სარგებლობაში გადაცემულ სახელმწიფო ტყის ფონდის მი-
წებზე სახალხო დეპუტატთა რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულე-
ბელი კომიტეტების ნებართვით აშენონ სატყეო მეურნეობის გაძლილასთან
დაკავშირებული საწარმოო ობიექტები.

თ ა ვ ი X

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება,
დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცება,
რომლებიც გავლენას ახდენენ ტუების მდგრადართულობასა და
აღწარმოებაზე

მუხლი 38. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგე-
ბის, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გა-
დაცემის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყეების
მდგრადართულობასა და აღწარმოებაზე

ახლი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობი-
ექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ
გადაცემისას, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას,
რომლებიც გავლენას ახდენენ ტყეების მდგრადართულობასა და აღწარმოებაზე,
გათვალისწინებულ და განხორციელებულ უნდა იქნეს ღონისძიებანი, რომლე-
ბიც უზრუნველყოფენ ტყეების დაცვას ჩამდინარე წყლების, ქიმიური ნივთი-
ერებების, სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნაგვის, ამონაფრქვე-
ვისა და ნარჩენების მავნე ზემოქმედებისაგან.

მუხლი 39. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებ-
ლობის ადგილებისა და პროექტების შეთანხმება, რომლებიც
გავლენას ახდენენ ტყეების მდგრადართულობასა და აღწარმოებაზე

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგი-
ლების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყის მდგრადართულობასა და
აღწარმოებაზე, უნდა შეუთანხმდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბ-
ჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგა-
ნოებასა და სხვა ორგანოებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებ-
ლობის შესაბამისად. აღნიშნული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექ-
ტების მშენებლობის პროექტები უნდა შეუთანხმდეს სატყეო მეურნეობის
სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა ორგანოებს სსრ კავშირის კანონმდებლობით
განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესით.

მუხლი 40. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების პლუატაციოდ გადაცემის პირობები, რომლებიც მავნე გავლენას აძლენენ ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე

აკრძალულია ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, საამქროების, აგრეგატების, სატრანსპორტო გზების, კომუნალური და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა, თუ ისინი არ არის აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ტყის მდგომარეობასა და აღწარმოებაზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას.

თავი XI

ტყეებში იმ სამუშაოთა წარმოების ფასი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო გაურეობის გაძლიერების და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან

მუხლი 41. ტყეებში იმ სამუშაოთა წარმოების წესი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო გაურეობის გაძლიერებასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან

ტყეებში, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე სამშენებლო და ასაფეთქებელი სამუშაოები, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, კბელების, მილსალენებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვნა, საბურღლი და სხვა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო გაურეობის გაძლიერებასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან, წარმოებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული სამუშაოები უნდა ხორციელდებოდეს ისეთი ხერხებით, რომლებიც არ გამოიწვევს ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიული მდგომარეობისა და მათი აღწარმოების პირობების გაუარესებას.

გარი II

ტყითსარგებლობა

თავი XII

ტყითმოსარგებლენი, ტყითსარგებლობის სახეობანი და ვალები

მუხლი 42. ტყითმოსარგებლენი

საქართველოს სს რესპუბლიკაში ტყითმოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქენი.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტყით-მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირები.

მუხლი 43. ტყითსარგებლობის სახეობანი

სსრ კავშირისა და მოქავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეებში, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების დაცვის პირობით, შეიძლება განხორციელდეს ტყითსარგებლობის შემდეგი სახეობანი:

1) მერქნის დამზადება;

2) ფისის დამზადება;

3) მეორეხარისხოვანი ტყის მასალის (ჭირვის, ლაფნის, ქერქისა და სხვათა) დამზადება;

4) არაპირდაპირი ტყითსარგებლობა — თიბგა, პირუტყვის ძოვება, სკებისა და საფუტკრების მოწყობა, ხის წვენების დამზადება, ველური ხილის, კაქლოვანთა, სოკოს, კენკრის, სამქურნალწამლო მცენარეებისა და ტექნიკური ნედლეულის დამზადება და შეგროვება. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემაღენლობაში შემავალ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე თიბგა და პირუტყვის ძოვება ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სატყეო მეურნეობის ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს არაპირდაპირი ტყითსარგებლობის სხვა სახეობანიც;

5) ტყითსარგებლობა. სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის;

6) ტყითსარგებლობა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის;

7) ტყითსარგებლობა სამონადირეო მეურნეობის საჭიროებებისათვის.

მუხლი 44. ტყითსარგებლობის ვადები

ტყითსარგებლობის ვადებს აქვთ შემდეგი:

ვერქნისა და ფისის დამზადებისათვის — სსრ კავშირის კანონმდებლობა;

ტყითსარგებლობის სხვა ღონისძიებათა განხორციელებისათვის — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თავი XIII

ტყითსარგებლობის განხორციელების უფლების მინიჭების ზესი

მუხლი 45. ტყითმოსარგებლეთათვის ნაკვეთების მიცემა ტყითსარგებლობის განსახორციელებლად

საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც უძლევებიან სატყეო მეურნეობას, ტყითმოსარგებლებს დადგენილი წესით აძლევენ ნატურალობის უბნებს მერქნის, ფისისა და მეორეხარისხოვანი ტყის მასალის დამზადებისათვის, თიბგისათვის, პირუტყვის ძოვებისა და სხვა სახეობათა ტყითსარგებლობისათვის.

მუხლი 46. ტყითსარგებლობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყითსარგებლობა (ამ კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ტყითსარგებლობის გარდა) დაიშვება მხოლოდ სპეციალური ნებართვით — ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით, რომელთა ფორმა მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით. ტყესაჭრელი ბარათი (ორდერი) ან ტყის ბარათი იძლევა ტყითსარგებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებას. ტყითმოსარგებლებს უფლება აქვთ შესაბამისი ფართობები გამოიყენონ მხოლოდ ისეთ სახეობათა ტყითსარგებლობისათვის, რომელთა შესრულებაზე მიეცათ ტყესაჭრელი ბარათი (ორდერი) ან ტყის ბარათი.

ტყესაჭრელ ბარათს (ორდერს) ან ტყის ბარათს გასცემენ საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც უძლვებიან სატყეო მეურნეობას.

მუხლი 47. იმ საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ტყითსარგებლობის განხორციელება, რომლებიც უძლვებიან სატყეო მეურნეობას

საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც უძლვებიან სატყეო მეურნეობას, ტყითსარგებლობის განხორციელებისას მოვალენი არიან საერთო საფუძველზე გააფორმონ ტყითსარგებლობის უფლება.

მუხლი 48. ტყეებში ტურისტული ბანაკების, დასასვენებული ბაზებისა და სხვა მსგავსი ობიექტების განლაგების ნებართვის მიცემის წესი

ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე ტურისტული ბანაკების, დასასვენებელი ბაზებისა და სხვა მსგავსი ობიექტების განლაგების, ამასთან არაკაპიტალური ტიპის ნაგებობების აგების ნებართვის მიცემის წესს აღენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 49. სამეცნიერო-კვლევითი ქაზნებისათვის ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების წესი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 50. სამონადირეო მეურნეობის საჭიროებებისათვის ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების წესი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სამონადირეო მეურნეობის საჭიროებებისათვის ტყითსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მერძნის დამზადების ფასი

მუხლი 51. ტყის ჭრის წესები მერქნის დამზადების დროს

ტყეებში მერქნის დამზადება ხდება მთავარი სარგებლობის ჭრის (კერძოდ ტყის აღდგენითი ჭრის) წესით, რაც მწიფე კორომებში წარმოებს.

მერქანი მზადდება აგრეთვე შუალედური სარგებლობის ჭრის (ტყის მოვლითი ჭრა, სანიტარიული და ისეთი ჭრა, რაც დაკავშირებულია მცირე ღირებულების ტყის კორომების ჩეკონსტრუქციასთან) და სხვაგვარი ჭრის დროს (სატყეო ფართობების გაწმენდა ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების მშენებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე განაკაფების, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შექმნის დროს და ა. შ.). მერქნის დამზადება შუალედური სარგებლობის ჭრისა და სხვაგვარი ჭრის დროს ხორციელდება ყველა ჯგუფის ტყეებში.

მუხლი 52. ჯგუფების მიხედვით ტყის ჭრის წესები და სახეობანი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკური ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მესამე ჯგუფის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრა ხდება წესებით, რომელთა მიზანია ტყეების ეფექტიანი ექსპლუატაცია, და რომელიც ხელს უწყობენ მათ აღდგენას ძვირფასი სამეურნეო მნიშვნელობის ხის ჯიშებით.

მეორე ჯგუფის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრა ხდება წესებით, რომელთა მიზანია ტყეების აღდგენა ძვირფასი სამეურნეო მნიშვნელობის ხის ჯიშებით, ტყეების დაცვითი და წყალშემნახავი თვისებების შენარჩუნება, და რომლებიც ამასთან მათი ეფექტიანი ექსპლუატაციის საშუალებას იძლევიან.

პირველი ჯგუფის ტყეებში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით, ტყის აღდგენითი ჭრა ხდება იმ წესებით, რომელთა მიზანია ტყის გარემოს, კორომების მდგომარეობის, ტყის წყალშემნახავი, დაცვითი და სხვა თვისებების გაუმჯობესება და მწიფე მერქნის დროული და რაციონალური გამოყენება.

ნაკრძალების, ეროვნული და ბუნებრივი პარკების ტყეებში, ნაკრძალ ტყის უბნებში, მეცნიერული ან ისტორიული მნიშვნელობის ტყეებში, ბუნებრივ ძეგლებში, ტყეპარკებში, კალოვანთა სარეწაო ზონების ტყეებში, ტყის ხეხილის ნარგავებში, ქალაქის ტყეებში, მწვანე ზონების ტყეპარკის ნაწილებში, წყალმომარაგების წყაროებისა და კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეებში, სახელმწიფო ტყის ზოლებში, ეროვნისაწინააღმდეგო ტყეებსა და განსაკუთრებით ძვირფას ტყის მასივებში დაიშვება მხოლოდ ტყის მოვლითი ჭრა და სანიტარიული ჭრა. სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ეს წესი ვრცელდება: წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეების მიმართ — მხოლოდ პირველი და მეორე სარტყელების ტყეებზე,

ხოლო კურორტების სანიტარიული დაცვის ოლქების ტყეების მიმართ — ამ კურორტების პირველი და მეორე ზონების ტყეებზე.

ტყეების აკრძალულ ზოლებში, რომლებიც ძვირფასი სარეწაო თევზის საქვირითოებს იცავს, ხდება ტყის მოვლითი ჭრა და სანიტარიული ჭრა, აგრეთვე დაიშვება ტყის აღდგენის შერჩევითი ჭრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მთის ტყეებში გამოიყენება ჭრის წესები, რომლებიც ითვალისწინებენ ამ ტყეების განსაკუთრებულ დაცვითს, ეროზიასწინააღმდეგო და წყალმარეგულირებელ მნიშვნელობას.

ტყის განსაკუთრებულ დაცვითს უბნებში შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ აიკრძალოს პირწმინდა ტყესაკაფი ჭრა, ხოლო საჭირო შემთხვევაში — აგრეთვე მთავარი სარგებლობის ჭრის სხვა წესების გამოყენება.

მუხლი 53. მერქნის დამზადებისა და ტყის ჭრის წესების დადგენი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკურების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მერქნის დამზადების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ტყის ჭრის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თავი XV

გერძნის დამზადების ოდენობის განსაზღვრა

მუხლი 54. მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადების ოდენობის განსაზღვრა

მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადება იგეგმება და ეწყობა მერქნიზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით, საანგარიშო ტყეკაფის ფარგლებში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკურების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მთავარი სარგებლობის ჭრა ისეთი ოდენობით, რომელიც საანგარიშო ტყეკაფს აღმატება, საჭირო შემთხვევებში დასაშვებია მესამე და მეორე ჯგუფის ტყეებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 55. შუალედური სარგებლობის ჭრის და სხვაგვარი ჭრის წესით მერქნის დამზადების ოდენობის განსაზღვრა

შუალედური სარგებლობის ჭრის დროს მერქნის დამზადების ოდენობა განისაზღვრება იმ საფუძველზე, რომ გაუმჯობესედეს ტყეების ჭიშობრივი შედეგენილობა და ხარისხი, ხოლო სხვაგვარი ჭრის დროს მერქნის დამზადების ოდე-



ნობას განსაზღვრავს სატყეო ფართობების გაწმენდის, განაკაფების შექმნის და სხვა სამუშაოთა მოცულობა.

თ ა ვ ი XVI

ტურაფის ფონდი

მუხლი 56. ტყეკაფის ფონდი

ტყეკაფის ფონდს ქმნის მერქნის დასამზადებლად განკუთვნილი მწიფე კორომების მარაგი.

ყოველწლიურად გამოსაყოფი ტყეკაფის ფონდის ოდენობა განისაზღვრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში ცალ-ცალკე ტყეების ჯგუფების მიხედვით.

მუხლი 57. ტყითმოსარგებლეთათვის ტყეკაფის ფონდის გადაცემა

ტყითმოსარგებლებს (ტყის დამამზადებლებს) ტყეკაფის ფონდს ნატურით გადასცემენ (ტყეკაფს გამოუყოფენ) საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან.

ტყითმოსარგებლეთათვის ტყეკაფის ფონდის გადაცემის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით.

თ ა ვ ი XVII

ხე-ტყის დამამზადებელი საჭაროოებისათვის ზოგადი ხის მარაგის მიზანი

მუხლი 58. ხე-ტყის ნედლეულის ბაზები და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდი

სსრ კავშირისა და შოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეების გეგმაზომიერი და ხანგრძლივი სამრეწველო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებს მესამე და მეორე ჯგუფის ტყეებში მიჩენილი აქვთ ეკონომიკურად დასაბუთებული ვადით ზეზეური ხის მარაგი გარკვეულ ფართობზე (ხე-ტყის ნედლეულის ბაზები), აგრეთვე ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ზეზეური ხის მარაგი ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდის სახით ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებს გადაეცემა აგრეთვე პირველი ჯგუფის ტყეებში (ნაკრძალების ტყეების, ეროვნული და ბუნებრივი პარკების, მეცნიერული ან ისტორიული მნიშვნელობის ნაკრძალი ტყეების უბნების, ბუნებრივი ძეგლების, ტყეპარკების, კაკლოვანთა სარეწაო ზონების ტყეების, ტყის ხეილის ნარგავების, ქალაქის ტყეების, მწვანე ზონების ტყეპარკის ნაწილების, წყალმომარაგების

წყაროებისა და კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეების, სახელმწიფო ტყის ზოლების, ეროვნისა და ტყეების, განსაკუთრებით ძვირფასი ტყის მასივებისა და ტყეების იმ აკრძალული ზოლების გარდა, რომლებიც იცავენ ძვირფასი სარეწაო თევზის საქვირითებს).

მუხლი 59. ზეზეური ხის მარაგის მიჩნისა და ათვისების წესი

ხე-ტყის ნედლეულის ბაზები და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეებაფის ფონდი უწინარეს ყოვლისა გადაეცემათ ხე-ტყის მრეწველობის ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებს.

ზეზეური ხის მარაგის მიჩნისა და ათვისების წესი განისაზღვრება ტყეების ჯგუფის მიხედვით.

ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოებისათვის ზეზეური ხის მარაგის მიჩნისა გათვალისწინებულ უნდა იქნეს მერქანზე ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკიმუოფილება.

ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოები მათვეის მიჩნილ ხე-ტყის ნედლეულის ბაზებსა და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეებაფის ფონდში მერქნის დამზადებას ეწევიან ამ კოდექსის 45—47-ე და 51—57-ე მუხლების შესაბამისად.

ხე-ტყის ნედლეულის ბაზებისა და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეებაფის ფონდის მიჩნია, გადანაწილება და ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თავი XVIII

ზეზეური ხის გაცემა

მუხლი 60. ზეზეურად გაცემული ხის საფასურის ანაზღაურება

ტყეებში ზეზეური ხე გაიცემა დადგენილი ნიხრით გათვალისწინებულ ფასად. საკოლმეურნეო ტყეებში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის საჭიროებისათვის ზეზეური ხე უფასოდ გაიცემა.

საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, თავისუფლდებიან იმ მერქნის საფასურის გადახდისაგან, რომელსაც ტყის მოვლის, სანიტარიული და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებისას იღებენ.

მუხლი 61. ზეზეურად გაცემული ხის საფასურის გადახდის წესი

ზეზეურად გაცემული ხის საფასურის გადახდის, ნიხრის დადგენის, ცალკეულ შემთხვევებში ზეზეური ხის საფასურის გადახდისაგან სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების ნაწილობრივი ან სრული განთავისუფლების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.



თ ა ვ ი XIX

ფისის დამზადების წესი

მუხლი 62. ფისის დამზადების წესი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეებში ფისის დამზადება შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. ფისის დამზადებისათვის საფასურის გადახდის წესს აღვენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

აქრძალულია მთავარი სარგებლობის ჭრა გამოფისვის ვადების გასვლამდე იმ წიწვოვან კორომებში, რომლებიც დაღვენილი წესით განკუთვნილია ფისის დასამზადებლად. აღნიშნული კორომების ჭრა მათ გამოფისვამდე, აგრეთვე კორომებში გამოფისვის ვადამდე შეწყვეტა, გამონაკლისის სახით, დასაშვებია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

თ ა ვ ი XX

მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების დამზადების წესი

მუხლი 63. მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების დამზადების წესი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სამრეწველო გადამუშავებისათვის, ტყის სარეწველოს განვითარებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების დამზადება უნდა ხდებოდეს ტყისათვის ზიანის მიუყენებლად.

მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების დამზადების, ამ მასალებზე ნიხრის დამტკიცების ან მათი საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თ ა ვ ი XXI

პრაკტიკაპირი ტყითსარგებლობის წესი

მუხლი 64. არაპირდაპირი ტყითსარგებლობის საერთო პირობები

არაპირდაპირი ტყითსარგებლობა უფასოა, ხის წვენების, ველური ხილის, გაქლოვანთა, სოკოს, კენკრისა და ტექნიკური ნედლეულის სარეწაო დამზადების გარდა. ამ პროდუქციის ნიხრს აწესებს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძლვებიან, ყოველგვარ არაპირდაპირ ტყითსარგებლობას უფასოდ ახორციელებენ.

ყოველგვარი არაპირდაპირი ტყითსარგებლობა უნდა ხორციელდებოდეს ტყისათვის ზიანის მიუყენებლად.

არაპირდაპირი ტყითსარგებლობის წესსა და პირობებს აღგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 65. თიბვა და პირუტყვის ძოვება

ტყებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე თიბვა და პირუტყვის ძოვება აკრძალულია ისეთ უბნებზე, სადაც ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს ტყეს.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სათიბ-საძოვრები, რომლებიც არ გამოიყენება სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის საჭიროებისათვის, ეძლევათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმო-ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის, თუ ასეთი სარგებლობა შეესაბამება სატყეო მეურნეობის ინტერესებს. სათიბ-საძოვრების გადაცემისას დაცული უნდა იყოს მიწის კანონმდებლობის მოთხოვნები.

მუხლი 66. სკებისა და საფუტკრეებისათვის უბნების გამოყოფა

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე შეიძლება გამოეყოთ უბნები სკებისა და საფუტკრეებისათვის ტყის ჭრის, სატყეო ფართობების გაწმენდის, მოხვნისა და კაპიტალური ტიპის ნაგებობათა აშენების უფლების გარეშე.

უბნებს სკებისა და საფუტკრეებისათვის დადგენილი წესით გამოყოფენ საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძლვებიან.

მუხლი 67. ველური ხილისა და კაკლოვანთა სარეწაო დამზადება

ტყეებში ველური ხილისა და კაკლოვანთა სარეწაო დამზადებისათვის ველური ხეხილისა და კაკლოვანთა ნარგავების ნაკვეთებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით 10 წლამდე ვადით გამოუყოფენ იმ სახელმწიფო და კონკერაციულ საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც დავალებული ქვეთ ასეთი პროდუქციის დამზადება.

ორზე მეტი სეზონით უბნების გამოყოფისას მოსარგებლებს ევალებათ ხეხილისა და კაკლოვანთა ხეებისა და ბუჩქების მოვლის, მოსავლიანობის გადიდების ონისძიებათა განხორციელება და ხეებისა და ბუჩქების ბუნებრივი განახლებისა ან დარგვისათვის ხელის შეწყობა.



მუხლი 68. სოკოს, კენკრის, სამუზრნალწამლო მცენარეებისა და ტექნიკური ნედლეულის სარეწაო დამზადება

სოკოს, კენკრის, სამუზრნალწამლო მცენარეებისა და ტექნიკური ნედლეულის სარეწაო დამზადებას ეწევიან ის საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც დავალებული აქვთ მათი დამზადება.

ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით აღნიშნულ საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე 5 წლიდე ვადით გამოყოფენ შესაბამის უბნებს.

მოსახლეობის მიერ სამუზრნალწამლო მცენარეების არასარეწაო შეგროვება ხდება ამ კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

თ ა ვ ი XXII

სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის ჭადი

მუხლი 69. სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესი

ტყეებში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესასრულებლად შესაბამის საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეიძლება გამოყოფოთ სპეციალური უბნები. გამოყოფილ უბნებში შეიძლება შეზღუდოს ან მთლიანად აერძალოს ტყითსარგებლობა სხვა საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე მოქალაქეებს, თუ ეს შეუთავსებელია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიზნებთან. გადაწყვეტილებას შეზღუდვის ან აერძალვის შესახებ იღებენ ის ორგანოები, რომლებმაც გასცეს სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის ნებართვა.

სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესს აღენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თ ა ვ ი XXIII

კულტურულ-გამაჯანსაღებლი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის ჭადი

ჭ ა ს 0

მუხლი 70. მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელება ტყეებში

მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეცნეო საწარმოები, აგრეთვე მათთან შეთანხმებით სხვა საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები მწვანე ზონის ტყეებსა და მოსახლეობის დასასვენებლად გამოყენებულ სხვა ტყეებში ახორ-

ციელებენ ტყის უბნების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-სა-
ყოფაცხოვრებო მომსახურების ღონისძიებებს ტყის გარემოსა და ბუნებრივი
ლანდშაფტების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით საგარეუბნო ზო-
ნების არქიტექტურული დაგეგმვარებისა და სანიტარიულ მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 71. ტყითსარგებლობა კულტურულ-გამაჭანსალებელი მიზნებისათვის
კულტურულ-გამაჭანსალებელი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესს
აღგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ტყის უბნებზე, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მი-
წებზე მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილების ორგანიზაციის, გამო-
ყენებისა და მოვლის წესებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

თავი XXIV

სამონადირეო მეურნეობის საპიროვებისათვის ტყითსარგებლობის ზესი

მუხლი 72. ნადირის ბინადრობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა
და მინი რაოდენობის რეგულირება

ტყეებში ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები უნდა
ხორციელდებოდეს ნადირის ბინადრობისათვის ხელშემწყობი პირობების შე-
ნარჩუნების აუცილებლობის გათვალისწინებით.

ტყეებში ნადირის რაოდენობის რეგულირება ხდება ტყის საკარგულები-
სათვის დასაშვები სიმჭიდროვის ფარგლებში, რათა ნადირი ზიანს არ აყენებ-
დეს ტყისა და სოფლის მეურნეობას.

ნადირის რაოდენობის ნორმებს აწესებს საქართველოს სსრ სატყეო მეურ-
ნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს-
თან და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 73. სამონადირეო მეურნეობის გაძლიერების ღონისძიებათა განხორ-
ციელება

სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმო-ორგანიზაციე-
ბსა და დაწესებულებებს, რომლებსაც მიჩნილი აქვთ სამონადირეო საკარგუ-
ლები, უფლება აქვთ იმ საწარმო-ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან შე-
თანხმებოთ, რომლებიც უძლვებიან სატყეო მეურნეობას, დათვესონ საკვები და
დამცავი მცენარეები და განახორციელონ სამონადირეო მეურნეობის გაძლი-
ლის სხვა ღონისძიებები.

მუხლი 74. სამონადირეო მეურნეობის საჭიროებებისათვის ტყითსარგებ-
ლობის წესი

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებებისათვის ტყითსარგებლობის წესს
აღგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ტ ა ვ ი ს ტ ა მ ი თ მ ი მ ი ს ა რ გ ე ბ ლ ე თ ა უ ფ ლ ე ბ ე ბ ი

მუხლი 75. ტყითმოსარგებლეთა უფლებები

ტყითმოსარგებლებს უფლება აქვთ და მოვალენი არიან განახორციელონ მხოლოდ მათთვის ნებადართული ტყითმოსარგებლობა.

მერქნის დამამზადებელ ტყითმოსარგებლებს უფლება აქვთ დადგენილ ვადაში მიიღონ ტყეკაფის ფონდი იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა ეკონო-მიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების დავალებათა შე-სასრულებლად.

ტყითმოსარგებლებს ტყითმოსარგებლობის სახეობისდა მიხედვით უფლება აქვთ დადგენილი წესით გაიყვანონ გზები, მოაწყონ მოედნები ტყის პროდუქ-ციის შესანახად, ააშენონ საწარმოო და სამეურნეო ნაგებობანი, დადგან მერ-ქნის დასამორი და გადასამუშავებელი მოწყობილობა და სამარჯვები, მოაწყონ ტრანსპორტის საღიროები და ა. შ.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინე-ბულ შემთხვევებში ტყითმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს სა-ხელმწიფოს ინტერესების, აგრეთვე სხვა ტყითმოსარგებლეთა ინტერესების სასარგებლოდ.

აკრძალულია ტყითმოსარგებლობა არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.

ტყითმოსარგებლეთა დარღვეული უფლებები აღდგენილ უნდა იქნეს, ხო-ლო მათთვის მიყენებული ზარალი — ანაზღაურებული სსრ კავშირისა და მო-კავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებით, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობით, ან კოდექსით და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლო-ბით დადგენილი წესით.

მუხლი 76. ტყითმოსარგებლეთა მოვალეობანი

ტყითმოსარგებლობის სახეობისდა მიხედვით ტყითმოსარგებები მოვალენი არიან:

რაც შეიძლება სრულად და რაციონალურად გამოიყენონ მათთვის გადაცე-მული ტყეკაფები, გამოიფისვისათვის გამოყოფილი ტყის ნარგავები, ტყის სათი-ბები და ტყის სხვა სავარგულები;

არ დატოვონ ჭრადაწყებული ტყეკაფები, აგრეთვე დამზადებული მერქანი ჭრის ადგილზე და ტყეში მისი დამზადებისა და გაზიდვის იმ ვადების გასვლის შემდეგ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით;

აწარმოონ სამუშაოები ისეთი ხერხებით, რომლებიც არ გამოიწვევენ ნია-დაგის ეროვნისა და გამორიცხავენ ან შეზღუდავენ ტყითმოსარგებლობის უარყო-ფით გავლენას ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე, აგრეთვე წყალსა-ტევებისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების მდგომარეობაზე:

დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები, განახორციელონ სამუშაოთა
მოწყობის ადგილებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ხოლო ტყის ხან-
ძრის გაჩენის შემთხვევაში — ჩაჯრონ იგი;

არ დაუშვან მერქნის დანაკარგები, სამასალე მერქნის შეშად გამოყენება,
აგრეთვე სამასალე მერქნის არადანიშნულებისამებრ ხარჯვა;

გაწმინდონ ტყეკაფები ჭრის ნაჩენებისაგან და თავიანთი სახსრებით მოი-
ყვანონ დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში ტყით-
სარგებლობის შედეგად დაზიანებული მიწის ნაკვეთები;

შესარულონ სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით და
ტყის ჭრის წესებით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მუხლი 77. ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრა მერქნის დამზადების დროს

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის სა-
ფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სახელმწიფო
ორგანო, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის
საფუძვლების მოთხოვნათა დაცვით, ყველა ხე-ტყის დამამზადებლისათვის გან-
საზღვრავს სავალდებულო ტექნიკურ პოლიტიკას, რომელიც ემყარება პროგრე-
სული ტექნიკოგიური პროცესების, მანქანიზმების გამოყენებას.

თ ა ვ ი XXVI

მოქალაქეთა ყოფნა ტეზი

მუხლი 78. მოქალაქეთა ტყეში ყოფნის უფლება

მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად იარონ ტყეში, მოქრიფონ ველუ-
რი ხილი, კაკლოვანები, სოკო, კენკრა და ა. შ.

მოქალაქეებს უფლება აქვთ ტყეები გამოიყენონ დასვენების, ტურიზმისა
და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილებისათვის.

მუხლი 79. ტყეში მყოფ მოქალაქეთა მოვალეობანი.

მოქალაქეები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ ტყეს, დაიცვან მისი სიმ-
დიდრე.

მოქალაქეები მოვალენი არიან დაიცვან ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების
წესები, არ დაუშვან ხეებისა და ბუჩქანარების მტვრევა და გაჩეხა, ტყის
კულტურების დაზიანება, ტყის დანაგვიანება, ჭიანჭველისა და ჩიტის ბუღეე-
ბის გაჩანაგება და ა. შ.

მუხლი 80. მოქალაქეთა ტყეში ყოფნის პირობები

მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, ველური ხილის, კაკლოვანთა, სოკოს, კენკრისა
და ა. შ. შეგროვება შეიძლება შეიზღუდოს სსრ კავშირისა და საქართველოს
სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სახანძრო უსაფრთხოების, კაკ-
ლოვანთა სარეწაო, ტყის ხილის ან ტყის სათესლე მეურნეობის გაძლილის ინ-



ტერესებისათვის, ხოლო ნაკრძალების ტყეებსა და სხვა ტყეებში — ამ ტყეებში მოქმედი სარგებლობის სპეციალური წესის შესაბამისად.

თ ა ვ ი XXVII

ტყითსარგებლობის უფლების უფლებები

მუხლი 81. საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყითსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

- 1) თუ საჭირო აღარ არის ტყითსარგებლობა;
- 2) თუ გავიდა ტყითსარგებლობის ვადა;
- 3) თუ გაუქმდა საწარმო-ორგანიზაცია ან დაწესებულება.

საწარმო-ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ტყითსარგებლობის უფლება შეიძლება შეუწყდეთ აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან ტყით დაკავებული სხვა მიწები ჩამოერთმევათ სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ან იმ შემთხვევაში, თუ ტყითსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს, ან მოთხოვნებს.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებს.

მუხლი 82. მოქალაქეთა ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

მოქალაქეთა ტყითსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

- 1) თუ მოქალაქემ თავისი ნებით თქვა უარი ტყითსარგებლობაზე;
- 2) თუ გავიდა ტყითსარგებლობის ვადა;
- 3) თუ ტყითსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს ან მოთხოვნებს.

მოქალაქებს ტყითსარგებლობის უფლება შეიძლება აგრეთვე შეუწყდეთ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან ტყითდაკავებული სხვა მიწები გადაიცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე მოქალაქეთა ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებს.

მუხლი 83. ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყითსარგებლობის უფლება ამ კოდექსის 81-ე მუხლით (ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის გარდა) გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო მოქალაქეთა ტყითსარგებლობის

უფლება ამ კოდექსის 82-ე მუხლით (ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის გარდა) გათვალისწინებულ შემთხვევებში შეწყდება იმ საწარმო-ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ ტყესაჭრელი ბარათის (ორდერის) ან ტყის ბარათის გაუქმების გზით, რომლებმაც გასცეს ტყესაჭრელი ბარათი (ორდერი) ან ტყის ბარათი.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების ან ტყითავავებული სხვა მიწების ჩამორთმევის შემთხვევაში ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტისას ტყითსარგებლობა შეიძლება ნება-დაროულ იქნეს სხვა უბნებში.

ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტა ტყითმოსარგებლებს არ ათავი-სუფლებს პასუხისმგებლობისაგან ტყითსარგებლობის წესების დარღვევისათვის.

თ ა ვ ი XXVIII

ქალაქის ტევაზში ტყითსარგებლობის თავისებურებანი

მუხლი 84. ქალაქის ტყეების ძირითადი დანიშნულება

ქალაქის ტყეები გამოიყენება უპირველეს ყოვლისა კულტურულ-გამაჯან-საღებელი მიზნებისა და მოსახლეობის დასვენებისათვის.

მუხლი 85. ქალაქის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადებისა და ზოგიერთი სხვა სახეობის ტყითსარგებლობის აკრძალვა

ქალაქის ტყეებში წერქნის დამზადება მთავარი სარგებლობის ჭრის წესით, ფისისა და ხის წვენების დამზადება და პირუტყვის ძოვება აკრძალულია.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით ქალაქის ტყეებში შეიძლება აკრძა-ლოს ტყითსარგებლობის სხვა სახეობები, თუ ისინი შეუთავსებელია კულტუ-რულ-გამაჯანსალებელ ღონისძიებათა განხორციელებასა და მოსახლეობის და-სვენების ორგანიზაციასთან.

მუხლი 86. ტყითსარგებლობა ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას მიეუ-თვნებული დასახლებული პუნქტების ტყეებში

ამ კოდექსის 84-ე და 85-ე მუხლების დებულებები ვრცელდება ავრეოდე იმ დასახლებული პუნქტების ტყეებზე, რომლებიც საქართველოს სსრ კანონ-მდებლობით ქალაქის ტიპის დაბების კატეგორიას მიეკუთვნება.

თ ა ვ ი XXIX

მიჩნევილ ტევაზში ტყითსარგებლობის თავისებურებანი

